პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. ქ. პ.
ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

ფასი 5000 მანეთი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე [illegible]
ტელეფონი: [illegible] კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

№ 71 ხუთშაბათი, 30 მარტი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ხუთშაბათი, 30 მარტი 1922 წ. № 71

რადგანაც პარტიის გაწმენდის გათავების შემდეგ დარჩენილია ზოგიერთი ამხანაგები, რომელთაც საპატიო მიზეზების გამო არ გაუარიათ „გაწმენდა“,

შემოწმება ასეთების ევალება საკონტროლო კომისიას

შემოწმება ამ ამხანაგებისა იწარმოებს შემდეგი წესით: უნდა შეტანილ იქნას განცხადება საგუბ. საკანტროლო კომისიებში, სადაც გადასწყვეტენ, რამდენად საპატიოა ის მიზეზი, რომელმაც თავის დროზე შემოწმების გარებაზე ხელი შეუშალა. შემოწმება უნდა მოხდეს „იაჩეიკაში“ სამაზრო, ან რაიონული კომიტეტის წარმომადგენლის თანადასწრებით. მსჯელობის შემდეგ მთელი მასალა უნდა გაიგზავნოს საგუბერნიო საკონტროლო კომისიებში, რომლებიც იწვევს შესამოწმებელ პირს და გამოაქვს თავისი დადგენილება. იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება არ იქნა დამაკმაყოფილებელი, შესამოწმებელ პირს შეუძლია იჩივლოს ცენტრალურ საკანტროლო კომისიაში.

საჩივრები იმ ამხანაგებსა, რომელთაც ვერ მოასწრეს გამწმენდი კომისიის გასაჩივრება ცენტ. საკონტროლო კომისიაში, და სურთ აღიდგინონ რ. კ. პ. წევრობის უფლებები, რუს. კომ. პარტიის მე-XI ყრილობის დამთავრებამდი, საკანტროლო კომისიებში არ გაირჩევიან, რადგანაც ყველა განსაზღვრული წესები, რომელიც შემოღებული იყო გაწმენდის დროს, რჩებიან ძალაში ყრილობამდე, რომელზედაც გამოიტანენ სათანადო დებულებებს მიღების წესებზე. (ცირკულიარი რ. კ. პ. ცენტ. კომ.).

რ. კ. პარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო საკანტროლო კომისია.

ხუთშაბათს, 30 მარტს, საღამოს 6 საათზე

ს. პ. კ. ს. პატარა დარბაზში შესდგება

ფრაქციის პლენუმის სხდომა

დასწრება ყველა ამხ. კომუნისტებისათვის, რომელნიც არიან საბჭოს და პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ გამგეობის წევრნი აუცილებელია პარტიულ დისციპლინის წესით.

ს. პ. კ. ს. ფრაქციის ბიურო.

(1—1)

შაბათს, აპრილის 1-ს საღამოს 6 საათზე,

ს. პ. კ. ს. დიდ დარბაზში შესდგება

საქარხნო-საფაბრიკო და ადგილობრივ კომიტეტების კონფერენცია

პროფესიონალურ კავშირთა გამგეობებთან ერთად.

დღის წეს-რიგი:

1. მოხსენება პროფინტერნის შესახებ.
2. მიმდინარე საკითხები.

კონფერენციის შემდეგ იქნება კონცერტი.

ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმი.

ბრძოლა სიმშილობასთან

მიმართვა

საქართველოს დამშეულთა მთავარი კომიტეტისა, აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის მოქალაქეთადმი

ძვირფასო ამხანაგებო და ძმებო!

საქართველოს დამშეულთა მთავარი კომიტეტი მოგმართავთ თქვენ ძმურის რესპუბლიკის მშრომელ მასას, მხურვალე მოწოდებით გაუწოდოთ ძმური ხელი საქართველოს დამშეულ გლეხკაცობას.

მენშევიკების და სხვა კაციჭამია ნაციონალისტების ბატონობამ სამი წლის ნახევრის განმავლობაში სრულებით ვერაფერი შემატა მეფობის დროს გაღატაკებულ გლეხკაცობას. 7—8 წლის იმპერიალისტური და სამოქალაქო ომის დროს გლეხკაცობის ნივთიერი მდგომარეობა შეუწყვეტლად უარესდებოდა და მასთან ერთად სოფლის მეურნეობაც სულ უფრო და უფრო ნადგურდებოდა და დაბლა ეცემოდა. მენშევიკებს ფიქრადაც არ მოსვლიათ რაიმე გაუმჯობესება შეეტანათ გლეხკაცის მდგომარეობაში ან სოფლის მეურნეობაში. გარდა ამისა, როცა მოაღწია იმათი ბატონობის აღსასრულმა, ამ ვაჟბატონებმა ჩაიდინეს უსასტიკესი დანაშაული—რაც რამ მარაგი და ძვირფასეულობა მოეპოვებოდა ქართველ ხალხს, მენშევიკებმა ან გაანადგურეს და გაფლანგეს, ან კიდევ გაიტაცეს საზღვარ-გარეთ. ყველა ამის გამო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს საქართველოში მდგომარეობა სურსათის მხრით მეტად კრიტიკული შეიქნა და თუ არ საბჭოთა რუსეთის ძმური დახმარება პურით და სხვა საგნებით, საქართველოს მშრომელ ხალხს და მის ხელისუფლებას დიდი განსაცდელი დაატყდებოდა თავს. ასეთი დახმარებას იღებდა საქართველო რუსეთიდან პირველ ხანებში, მაგრამ თქვენ იცით, რომ საბჭოთა რუსეთში უკვე 1921 წლ. გაზაფხულიდან თავი იჩინა ერთის მხრით სურსათის ნაკლებობამ და მეორეს მხრივ დიდი მოუსავლობის საშიშარმა ნიშნებმა, მიტომ რუსეთის დახმარება უკეთეს შემთხვევაში ძალაუნებურად უნდა შემცირებულიყო ან სრულებით უნდა შეწყვეტილიყო. ამავე დროს თვით საქართველოშიაც გასულ 1921 წ. მოხდა დიდი მოუსავლობა ძლიერი გვალვის გამო. შეკრებილი ცნობები გვეუბნებიან, რომ საქართველოში გასულ წელს მოვიდა 10 მილ. ფუთით ნაკლები ხორბლეულობა და სიმინდი, ვინემ ჩვეულებრივად მას მოსდის. თუ წლიური მოსავალი პურისა და სიმინდის ჩვეულებრივ დროსაც არ აკმაყოფილებდა საქართველოს მოსახლეობას და ამიტომ მის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ყოველწლიურად შემოჰქონდათ აქ რამდენიმე მილიონი ფუთი ხორბალი ფქვილი, თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ როგორი მდგომარეობა უნდა იყოს აქ შექმნილი, როცა გლეხკაცობა დაზარალდა დიდი მოუსავლობით ერთი მხრით და რუსეთიდანაც შეწყდა პურის შემოტანა მეორე მხრივ.

ამხანაგებო და ძმებო, აფხაზეთის მშრომელო მასსა; საქართველოს დამშეულთა მთავარი კომიტეტი ამით გაცნობებთ თქვენ, რომ საქართველოს გლეხკაცობა დღეს დიდ გაჭირვებას განიცდის, რომ იქ მძვინვარებს საშინელი შიმშილი, უჭმელობისაგან ხალხი სუსტდება, ავადმყოფდება და შემდეგ წუთისოფელს ესალმება. ხალხის დამშევას თან სდევს საქონლის პირუტყვის განადგურება-დახოცვა ერთი მხრით და ყანების დაუთესაობა მეორეს მხრივ. არ არის უბედურება, რომელიც შეედრებოდეს შიმშილს, მისგან მიყენებული ტანჯვა აღემატება ყველაფერს, შიმშილისაგან შეწუხებული ადამიანი ჰკარგავს ადამიანურ გრძნობას, იგი გიჟდება და მხეცდება; ასეთ გაჭირვების და უბედურების დროს საქართველოს გლეხკაცობა და მშრომელი მასა მოგმართავთ თქვენ, აფხაზეთის მოძმეთ, რომლებიც დღეს იმყოფებით შედარებით უკეთეს პირობებში, გაუწოდეთ თქვენ მოძმეთ, საქართველოს დამშეულ გლეხებს და მუშაკებს ძმური ხელი და დაეხმარეთ მათ ნივთიერად, რითაც შეგიძლიათ და მით თქვენ დაიხსნით სიკვდილისაგან დამშეულ ბავშვებს, დედაკაცებს, მოხუცებს დ ავადმყოფებს. რაგინდ მცირე იყოს თქვენი დახმარება, იმას მაინც დიდი მნიშვნელობა ექნება. გარდა ამისა, რომ თქვენ გადაარჩენთ სიკვდილს რამოდენიმე ათეულ და ასეულ დამშეულებს, გარდა იმისა, რომ თქვენ მისცემთ შეუძლო გლეხებს ყანების და სათესის შეძლებას, თქვენ საქმით დაუმტკიცებთ როგორც ქართველ მშრომელ მასას, ისე ყველა ქვეყნის მშრომელებს, მუშებს და გლეხებს თქვენ ძმურ სოლიდარობას, თქვენ სიმტკიცეს და შეურყევლობას რევოლიუციის მიმართ, თქვენს ერთგულობას საბჭოთა ხელისუფლების წინაშე. შიმშილთან ბრძოლა ეს საბჭოთა ხელისუფლების ახალი ფრონტია. სიმშილის დაძლევა ნიშნავს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას. ამიტომ საბჭოთა რესპუბლიკის თითეული მუშა და გლეხი, ყველა პატიოსანი მოქალაქენი მოვალენი არიან მოიკრიფონ მთელი თავისი ძალები და გაუმკლავდნენ შიმშილის საშინელ შედეგებს. როგორც სამხედრო ფრონტზე საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელი მასსები აერთიანებენ თავის ძალებს, ისევ უნდა მოხდეს სიმშილის ფრონტზედაც. საბჭოთა აფხაზეთი, საბჭოთა საქართველო თუ საბჭოთა რუსეთი აქ გარჩევა არაა, აქ ყველა ერთია.

საქართველოს დამშეულთა მთავარი კომიტეტი ღრმად დარწმუნებულია იმაში, რომ თქვენ აფხაზეთის მოძმენი მხურვალედ გამოეხმაურებით ამ მოწოდებას და თავის წვლილს არ დაიშურებთ საქართველოს დამშეულ გლეხების და მუშების დასახმარებლად. იცოდეთ, რომ საქართველოს გლეხები და მუშები არასოდეს არ დაივიწყებენ თქვენს დახმარებას. იცოდეთ რომ ეს დახმარება კიდევ უფრო გაამაგრებს ჩვენ შორის ძმურ ურთიერთობას და ბოლოს მოუღებს იმ ეროვნული შუღლის და განხეთქილების ნაშთებს, რომელიც მენშევიკებმა დასთესეს ჩვენ შორის.

იცოდეთ რომ ეს დახმარება გაახარებს ყველა ჩვენს მეგობრებს და ამხანაგებს, შეაწუხებს და დავთარს დაუბნევს მუშათა კლასის და საბჭოთა ხელისუფლების ყველა მტრებს, როგორც შინაურებს, ისე გარეულებს.

მაშ, გაუმარჯოს ძმურ სოლიდარობას. გაუმარჯოს მუშათა კლასს და მის ხელისუფლებას, პროლეტარიატის დიქტატურას.

საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე

ტფილისი 26 მარტი
1922 წ.

ლენის მუშების დახვრეტის 10. წ. თავი

17 აპრილს (4 აპრილს ძველი სტილით) სრულდება ათი წელი მდინარე ლენაზე მომხდარ ტრაგედიის დღიდან, რომლის მსხვერპლი შეიქნენ ასეული მუშები, დახვრეტილნი მეფის და კაპიტალის ჯალათების მიერ იმის გამო, რომ ისინი შეეცადნენ ხმა მაღლა განეცხადებიათ თავიანთი არსებობის ჯოჯოხეთური კატორგული პირობები.

ლენას ამბები შეიქნენ გარდამტეხი მომენტი რუსეთის მუშათა კლასის რევოლიუციონურ მოძრაობაში, რომელიც თვითმპყრობელობას და რეაქციონურ ბურჟუაზიას საბოლოოდ გასრესილად მიაჩნდათ სტოლიპინის კონტრ-რევოლიუციის რეჟიმისაგან.

ლენას დახვრეტამ ხელახლა აამოძრავა მთელი მუშური რუსეთი, როგორც 1905 წლის 9 იანვრის ხოცვა-ჟლეტამ, რაც გამოიხატა გაფიცვების და პოლიტიკურ მოძრაობის ტალღის განუწყვეტელ ზრდაში, რომელმაც მიიყვანა პეტერბურგის მუშები, ქუჩების ბარიკადებამდი 1914 წლის ზაფხულის დამდეგს. მხოლოდ იმპერიალისტურ ომის კრიზისმა დროებით ხელოვნურად შესწყვიტა რევოლიუციონურ ტალღის ზრდა.

მაგრამ რევოლიუციის საიდუმლო ძალებმა იპოვეს გასავალი თვითმპყრობელობის უეცარ და გაბედულ აფეთქებაში 1917 წლის თებერვალში და 8 თვის შემდეგ მუშათა კლასმა დაამყარა თავის დიქტატურა.

იმ რევოლიუციონურ ამბების და მოვლენების ჯაჭვში, რომლების დროსაც რუსეთის მუშათა კლასი გამოდიოდა რევოლიუციის უმთავრეს მამოძრავებელ ძალის და აჯანყებულ მშრომელ მასების გეგემონის როლში, ლენის ამბები წარმოადგენენ ერთ-ერთ შესანიშნავ რგოლს.

აუცილებლად საჭიროა ამ უმნიშვნელოვანეს ეტაპის ათი წლის თავი ღირსეულად აღინიშნოს.

საქართველოს კომუნისტურ პარტიის ც. კ. წინადადებას იძლევა ლენის სისხლიან ტრაგედიის მე-10 წლის თავი აღინიშნოს მუშების დ წითელარმიელების ფართე კრებებს გამართვით.

ც. კ. მდივანი **ხაბაშვილი.**

სამი ინტერნაციონალის კონფერენცია

აპრილის პირველ რიცხვებში განზრახულია შესდგეს ბერლინში სამივე ინტერნაციონალის კონფერენცია, რომლის მოწვევის თაოსნობა გამომდინარეობს 2 ნახ. და მე-2 ინტერნაციონალიდან. ჩვენი კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომი დასთანხმდა ამ კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე. ორივე ეს გარემოება, როგორც კონფერენციის მოწვევის წინადადება, ისე კომინტერნის თანხმობა უაღრესი მნიშვნელობის ფაქტია მუშათა საერთაშორისო მოძრაობის ისტორიაში და მოითხოვს ჩვენგან განსაკუთრებულ ყურადღებას.

რა მოტივები შეიძლება ამოძრავებდეთ მუშათა კლასის გამყიდველ 2 ინტერნაციონალის „გმირებს“ და არა ნაკლებ მოღალატე გერმაფროდიტულ 2 ნახ. ინტერნაციონალის მეთაურებს, როცა მათ მოისურვეს წითელ კომინტერნის წარმომადგენლებთან შეხვედრა და მიმდინარე მომენტში მუშათა მოძრაობის ტაქტიკის შესახებ სჯა-ბაასის გამართვა, ან რანაირი უნდა იყოს ჩვენი პოზიცია ამ კონფერენციაზე?

როგორც ვიცით, კომინტერნმა წამოაყენა ახალი ლოზუნგი, მუშათა ერთიანი ფრონტის შექმნის ლოზუნგი, რომელმაც დიდი მითქმა-მოთქმა და მოძრაობა გამოიწვია ევროპის მუშათა და სოციალისტურ წრეებში. ამ ლოზუნგის მთავარი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ დარაზმოს მუშათა კლასის დაქსაქსული რიგები, მორიგი, მიმდინარე ბრძოლის საწარმოებლად კაპიტალთან, რომელიც ლამობს განკურნებას მსოფლიო ომით მიყენებულ ჭრილობიდან და მთელ ფრონტზე შეტევაზე გადადის შრომის წინააღმდეგ (რაც იხატება ხელფასის შემცირებაში, სამუშაო დღის გადიდებაში და სხ.). ამ მორიგი ლოზუნგებისათვის ბრძოლის პროცესში მუშათა კლასი თან-და-თან მჭიდროდ შეკავშირდება და მოამზადებს ნიადაგს კაპიტალის წინააღმდეგ საერთო შეტევაზე გადასასვლელად. პარალელურად იწარმოებს პროცესი მუშათა კლასის გამოფხიზლებისა, განთავისუფლებისა წვრილ-ბურჟუაზიულ, შემთანხმებელ მეთაურების გავლენისაგან, რომელნიც ცდილობენ მუშათა კლასის დაწყებული ბრძოლის შემოფარგვლას მხოლოდ სადღეისო ლოზუნგებით და ჩრდილავენ პროლეტარიატის საბოლოო მიზნის, ძირითადი სოციალისტური გარდაქმნის მომენტს. მაშასადამე, ერთიანი ფრონტის გარშემო გაჩაღებულია ბრძოლა: ერთი მხრით დგანან კომუნისტები, რომელნიც ამ ლოზუნგს უკავშირებენ მუშათა კლასის საბოლოო პერსპექტივებს, მეორე მხრივ ყველა შემთანხმებელნი, რომელნიც ფაქტიურად და არსებითად რჩებიან არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობის საფუძველზე და კმაყოფილდებიან ბურჟუაზიის მხრით მცირე წყალობის დათმობის მიღწევით. ეს მათი ცდა მუშათა კლასის და ბურჟუაზიის შეთანხმებისა კომპრომისების გზით, ეჭვი არ არის, ანელებს რა კლასთა ბრძოლას, ემსახურება არსებულ კაპიტალისტურ წყობილების განმტკიცებას.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სამი ინტერნაციონალის კონფერენციის მოწვევის თაოსნობით, შემთანხმებელნი მეორე და 2 ნახევ. ინტერნაციონალიდან, ლამობენ ხელში აიღონ მუშათა ერთიანი ფრონტის საქმეში ინიციატივა, გაახანგრძლივონ თავისი გამრყვნელი გავლენა პროლეტარიატზე, რომელიც თანდათან შორდება მათ და დგება კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.

მეორე მხრივ, იმ შემთხვევაში, თუ კომინტერნი უარს იტყოდა კონფერენციაში მონაწილეობაზე, ამას კონფერენციის ინიციატორები გამოიყენებდნენ საგიტაციო მასალად კომინტერნის წინააღმდეგ, რომელიც თითქო გამთიშველია მუშათა კლასის და პროლეტარიატის საერთაშორისო მოძრაობის ერთიანობის დამრღვევი.

მაგრამ კომინტერნმა სისწორით გაითვალისწინა საქმეთა ვითარება, აგრეთვე ამ ჟამად შექმნილი საერთაშორისო პირობები და კონფერენციაში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადა.

დღეს კაპიტალისტური და იმპერიალისტური მსოფლიო ფიქრობს გენუაში მთლიანი ფრონტით დაუპირდაპირდეს პროლეტარიატის ძალა უფლებას საბჭოთა ფედერაციის სახით. ასეთ გარემოებაში თუ ინტერნაციონალების კონფერენცია მოახერხებს მუშათა ერთიანობის და სიძლავრის დემონსტრაციის მოხდენას, ამას, ეჭვი არაა, უდიდესი გავლენა ექნება გენუას კონფერენციაზე და საერთოდ კაპიტალისტურ მსოფლიოსა და საბჭოთა ფედერაციის დამოკიდებულების საკითხზე. ამ კონფერენციას უფრო მეტი მნიშვნელობა ექნება მუშათა უახლოესი და მომავალი მოძრაობის თვალსაზრით. აქ 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალის წარმომადგენლნი იძულებულნი გახდებიან გაიღონ, როგორც გ. ზინოვიევი ამბობს, ერთგვარი თამასუქები მუშათა კლასის მიმართ, რომელთა დარღვევა შემდეგში, პრაქტიკული ბრძოლის დროს, მათ უეჭველად ძვირად დაუჯდებათ. მუშათა კლასის ნაწილი, რომელიც კიდევ მისდევს ამ ვაჟბატონებს, საბოლოოდ დარწმუნდება მათ ღალატში და ზურგს შეაქცევს. და ჩვენ გვგონია, რომ სამი ინტერნაციონალის კონფერენციის მომენტიდან შემთანხმებელთა გარიყვის, პროლეტარიატის გამოფხიზლების და კომინისტური ინტერნაციონალის გარშემო მისი დარაზმვის პროცესი უფრო ჩქარი ტემპით განვითარდება, რაც მოაახლოვებს უკვე შეგზარულ კაპიტალისტური — საზოგადოებრივი მანქანის დამსხვრევას მსოფლიო მასშტაბით და სოციალისტურ გადატრიალებას.

გ. ქ.

ბეჭდვითი ნაწარმოების გავრცელება საქართველოში

ის ახალი ეკონომიური პოლიტიკა, რომლის ჩონჩხიც ამ ერთი წლის წინათ გამოისახა, მიუხედავათ მის განსახორციელებლათ გაწეულ მომზადებითი ხასიათის ხანგრძლივ მუშაობისა, მაინც ბევრისათვის მოულოდნელათ თავზე დატეხილი გამოდგა.

ეს ითქმის განსაკუთრებით ბეჭდვითი საქმეზე, როგორც გამოცემის, ისე მისი გავრცელების მხრივაც. ამ სფეროში 13 თვის წინათ მიღებული პოლიტიკა, მე-11 თვეში ისე განხორციელდა, რომ მთელი 11 თვის განმავლობაში მისი განსახორციელებელი აპარატიც კი ვერ შეიქმნა. თუმცა ეს საქმე თანახმად ახალი ეკონომიური პოლიტიკისა გადავიდა კომერციულ ნიადაგზე, მაგრამ ფორმალურად და ქაღალდზე მხოლოდ და არა სინამდვილეში და საქმით. ყოველივე ამის შედეგათ კი ის გვაქვს, რომ ბეჭდითი საქმე ყოველგვარ კომერციულ ანგარიშებსა და კომერციულათ საქმის დაყენებას მოკლებულია.

საზოგადოთ ამ საქმეს აქვს ორი მხარე და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ორივე მხარე მოუწყობელ-მოუწესრიგებელია.

ავათ არის თუ კარგათ ყოველ შემთხვევაში გამომცემლობის საქმე შედარებით გავრცელების საქმესთან მაღლა დგას, მაგრამ ამ ორ მხარეს ერთმანეთში იმდენი საერთო კავშირი აქვს, რომ ერთი თუ მოიკოჭლებს, მეორე რაც უნდა იდეალურათ და სამაგალითოდ იყვეს მოწყობილი, მაინც უნაყოფო და ამაოა.

რაც შეეხება გავრცელების საქმეს, უნდა ითქვას რომ ჯერჯერობით სრულებით არაფერი არაა გაკეთებული. ეს საქმე იმდენათ მოუწყობელია, რომ ცენტრმა ისიც კი არ იცის, თუ პროვინციაში ვის მისდის მის მიერ გაგზავნილი გამოცემები. მათგან არაა თავის დროზე ანგარიშების მოთხოვნა, არაა პროვინციიდან მიღებულ მოთხოვნილების ანგარიშების გაწევა. არსად ბიუროკრატიული „ვოლოკიტა“ ისე არ აბრკოლებს საქმეს, როგორც ამ საქმეში და მგონია არსად ეს იმდენათ არაა გავრცელებული, როგორც აქ.

საქართველოში ქუთაისი თფილისის შემდეგ მეორე მსხვილი ცენტრია და ამ ორი დღის წინათ იქიდან ჩამოსულმა ამ საქმის ხელმძღვანელმა შემდეგი შემომჩივლა: წიგნის და გაზეთის დიდი მოთხოვნილებაა. მომდის მხოლოდ გაზეთი და ისიც საშინელ უწესრიგოთ. არის შემთხვევები და ძალიან ხშირათაც, გაზეთს მე-3 მე-4 დღეს ვღებულობ. მაგალითად გაზეთი „მიწის მუშა“ ექსპედიციის შაბათს მიუღია. დღეს ორშაბათია და ის კიდევ არაა გაგზავნილი. ჩემს შეკითხვაზე მიპასუხეს ხვალ დავგზავნითო. წიგნს, ჟურნალს და სხვას სრულებით არ ვღებულობთ, ჩემს მონაწერს, ჩემს მოთხოვნილებას ანგარიშს არ უწევენ, ყურადღებას არ აქცევენ და ან თუ გვაღირსეს ყურადღება, ძალიან დაგვიანებით. მაგალითად კალენდრები ერთ და იმავე დროს გამოვიწერე მოსკოვიდან და ტფილისიდან, მოსკოვიდან უკვე მომივიდა, გავყიდე კიდეც და ტფილისიდან ჯერაც პასუხი არაა. არც ანგარიშზე მაწუხებს არავინ, თუ აგზავნიან ანგარიშს, იმასაც არა თავის მისამართით.

ასეა ქუთაისში, რაღა უნდა იყვეს სხვა უმნიშვნელო და პატარა ადგილებში. აქ აშკარაა სახელმწიფო გამომცემლობის და მისი სათანადო განყოფილებების დაუდევრობა. რომ ეს ასეა ამას ამ შაბათის მაგალითიც ამტკიცებს. გამომცემლობამ გაზ. „მუშა“ რუსულ-ქართული მიიღო შაბათს, ქართული „კომუნისტი“ კვირას და ეს გაზეთები მან დამტარებლებსა და გამყიდველებს მხოლოდ ორშაბათს მისცა. ასეთ უთავობას კომერციასთან არავითარი კავშირი არა აქვს და ტყვილათ უწოდებენ მას კომერციულ ანგარიშზე გადასვლას. გამომცემლობას შეიძლება გონია, რომ თუ აგენტურის შესახებ გაზეთში განცხადება დაბეჭდა, ამით აგენტურა მოაწყო. პირადათ ამ საქმეში მრავალი წლების გამოცდილება მაქვს და უნდა ვაღიარო, რომ ეს საქმე ასე არ კეთდება და არ ეწყობა. ჩვენ ვიცით, რომ იმის მეათედი შტატით, რომელიც დღეს სახელმწიფო გამომცემლობას ყავს, ეს საქმე შედარებით დღევანდელთან იდეალურათ იყო დაყენებული. დღეს კიდევ უფრო უკეთესად შეიძლება დაყენება, მხოლოდ ამისათვის საჭიროა საქმე და მუშაობა. საჭიროა სახელმწიფო გამომცემლის გამგისაგან ან მის რწმუნებულისგან პროვინციის მოვლა, პირადათ მისი თაოსნობით ადგილებზე აქ საქმის მოწყობა და ადგილებისათვის გავრცელების საქმეში განსაზღვრული დირექტივის მიცემა.

წიგნმა და გაზეთმა ამ საუკეთესო აგიტატორ - პროპაგანდისტმა რომ დღევანდელ შეუგნებლობის ბურუსით მოცულ და მოწამლულ ატმოსფერაში თავის დიდი დანიშნულება პირნათლად შეასრულოს, მიუცილებელია მისი გავრცელების საქმის სათანადო მოწყობა. გამომცემლობას მართებს ამ საქმეზე ამიერიდან მაინც დროით იზრუნოს და დაუყონებლივ მოაწყოს აგენტურის სათანადო ორგანიზაცია.

აქილეხი.

დამშეულთა დახმარების მსვლელობა

აფხაზეთში

საქართვ. დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტის რწმუნებულად აფხაზეთში დანიშნულია ამხ. ნიკოლოზ (კოლია) ივანეს ძე ბახტაძე, რომელიც, თანახმად მიღებულ მანდატისა, მიემგზავრება აფხაზეთში თავისი მოვალეობის ასასრულებლად.

ქ. სურამი.

მარტს ქალაქ სურამში მოხდა მთელ სურამის თემის გლეხობის კრება. მოისმინა რა კრებამ თემის აღმასკომის თავმჯდომარის, ამხ. გოგალაძის მოხსენება საქართველოს დამშეულ მცხოვრებთა სასარგებლოდ შემოწირულებების მოგროვების შესახებ, ერთხმად დაადგინა, თვითეულ სოფელს დაუყოვნებლივ დაავალოს აირჩიოს თითო კეთილსინდისიერი პირი, რომლებმაც უნდა დაიარონ სოფლები, გაუთვალისწინონ ყველას გაჭირვების სურათი და მოაგროვონ შეწირულებანი, რომელიც შემდეგ უნდა ჩააბარონ ქ. სურამის აღმასკომს კუთვნილისამებრ გადასაგზავნად.

დახმარება დამშეულებს.

(ამონაწერი საზოგადო კრების ოქმიდან).

22 მარტს შესდგა ლითონის განყოფილების მუშა-ქალთა საზოგადო კრება. მოისმინეს რა ამხ. კამალოვის მოხსენება, ლითონის განყოფილების მუშათა საერთო კრებამ ერთხმად დაადგინა: მიღებულ იქნას სასწრაფო ზომები საქართველოს და ვოლგის მხარის დამშეულთა დახმარების აღმოსაჩენად. წინადადება მიეცეს ქარხნის კომიტეტს სასწრაფოდ გამოიმუშაოს ამ დახმარების ფორმა

23 მარტს ტრამვაის მოსამსახურე-ქალთა საერთო კრებამ განიხილა დამშეულთა დახმარების საკითხი. საზოგადო კრებამ დაადგინა: გამოირიცხონ თავიანთ ჯამაგირიდან ყოველთვიურად არა ნაკლებ 1000 მ. და ყოველ-დღიურ ულუფიდან არა ნაკლებ 1 მისხალი პურისა. წინადადება მიეცეს ტრამვაის მუშების და მოსამსახურეების საზოგადო კრებას მიბაძონ მათ მაგალითს და დაევალოს ადგილობრივ კომიტეტს ამ დადგენილების ცხოვრებაში უცვლელად გატარება.

19 მარტს მიხეილის საჭლობის საავადმყოფოს მოსამსახურე-ქალთა კრებამ დამშეულთა დახმარების საკითხის შესახებ დაადგინა: მიღებულ იქმნას ყოველივე ზომები დამშეულთა ყოველ მხრივ დახმარების აღმოსაჩენად.

დაევალოს ადგილობრივ კომიტეტს ამ დადგენილების ცხოვრებაში საჩქაროდ გატარება.

24 მარტს შესდგა ც. მ. კ., „კინო-პალასის“ და პირველ საბჭოთა სახლის მოსამსახურე ქალთა საერთო კრება. განიხილეს რა დამშეულთა დახმარების საკითხი მუშა-ქალთა გაერთიანებულმა კრებამ დაადგინა: გადაეცეს ეს საკითხი განსახილველად ადგილობრივ კომიტეტს დახმარების ცხოვრებაში გასატარებელ ზომების გამოსამუშავებლად. სასწრაფო წესით იქნას მოწვეული საერთო კრება, სადაც დამტკიცებული იქნება ადგილობრივ კომიტეტის მიერ გამომუშავებული დახმარების აღმოჩენის ფორმები და შეუდგნენ მის განხორციელებას.

შიმშილი ძლიერდება. საჭიროა სასწრაფო დახმარება.

საქართველოს დაშეულთა დამხმარე კომიტეტს საქართველოს ყოველ კუთხიდან საშიში ცნობები მოსდის, რომ შიმშილი უფრო და უფრო ძლიერდებაო. ასე, დამშეულები არიან ბორჯომის რაიონში სოფ. ციხისჯვარი, გორის მაზრაში მთელი რიგი სოფლებისა, თბილისის მაზრაში—წალკის რაიონი, სოფელი წინწყარო და ყარაიაზში—286 კვამლი, ბორჩალოს მაზრაში—სოფ. ბილიჩი, ლეჩხუმის მაზრაში—თითქმის მთელი მაზრა და ნამეტნავად სოფ. ლაშიჩელე, რომლის მოსახლეობამ გაყიდა ყველაფერი, რის გაყიდვაც შეეძლო, და არა აქვს შეძლება შეიძინოს არა თუ მარტო სასოფლო-სამეურნეო იარაღები, მანქანები და დასათესი მასალა, არამედ საკვები სურსათიც-კი, ქუთაისის მაზრაში—სოფ. ზედა სიმონეთი და გამოჩინებულის რაიონი, სენაკის მაზრაში—ზოგიერთი რაიონები, ნამეტნავად აბაშისა; მთლად დამშეულებია შორაპნის და რაჭის მაზრები; გურიაში შიმშილი საშინლად ძლიერდება, მეტადრე მის ზემო ნაწილში, ყველა ამ რაიონებს სჭირიათ დაუყონებლივი დახმარება, უმთავრესად დასათეს მასალით, წინააღმდეგ შემთხვევაში დამშეულ რაიონების მოსახლეობას ემუქრის სიმშილისგან სიკვდილი.

გურიაში.

ოზურგეთის სამაზრო დამშეულთა დამხმარე კომიტეტი აცნობებს საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტს, რომ იგი შეუდგა შეწირულების მოკრებას მთელ გურიაში, გამოუშვა მოწოდება ყველა მშრომელთა და პატიოსან მოქალაქეთადმი დამშეულ ძმებისა და დების დასახმარებლად.

სამხრეთ ოსეთში.

საქართველოს დამშეულთა დამხარე მთავარ კომიტეტს დეპეშა მოუვიდა სამხრეთ ოსეთის დამშეულთა დამხმარე კომიტეტისგან იმის შესახებ, რომ დამშეული და ხალხის დიდი ბრბოები ყოველ დღე გარს ეხვევიან სამხრეთ ოსეთის აღმასკომს და პურს თხოულობენ. გახშირდა სიკვდილი შიმშილისაგან. საჭიროა სასწრაფო შველა, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსახლეობას ემუქრის სიკვდილი შიმშილისგან.

ჩრდილოეთ ამერიკის დახმარება.

საქართველოს დამშეულთა დასხმარე მთავარმა კომიტეტმა გაგზავნა შორაპნის მაზრაში ორი ვაგონი დაღერღილი სიმინდი (1,500 ფუთი), შემოწირული ამერიკის დამხმარე კომიტეტის მიერ. ეს დაღერღილი სიმინდი მოსახლეობას დაურიგდება საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტისა და ამერიკის კომიტეტის წარმომადგენლების თანადასწრებით.

დამშეული რაიონების გამოკვლევა

სრული ცნობების შესაკრებად შიმშილობის შესახებ და მის სიდიდის გამოსაკვლევად საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტი გზავნის თავის წარმომადგენლებს.

კრებების დადგენილებები.

(ამონაწერი საზოგადო ყრილობის ოქმიდან).

22 მარტს შესდგა ლითონის განყოფილების მუშა ქალთა საზოგადო კრება. მოისმინა რა ამხ. კამალოვის მოხსენება, კრებამ ერთხმად დაადგინა: მიღებულ იქნას სასწრაფო ზომები საქართველოს და ვოლგის მხრის დამშეულთა შეძლებისამებრ დასახმარებლად. წინადადება მიეცეს ქარხნის კომიტეტს სასწრაფოდ გამოიმუშაოს ამ დახმარების ფორმები.

23 მარტს ტრამვაის მოსამსახურეთა საზოგადო კრებამ განიხილა დამშეულთა დახმარების საკითხი, და დაადგინა: დამშეულთა დასახმარებლად ყოველთვიურად გადაირიცხოს არა ნაკლებ 1000 მანეთის ყოველ მოსამსახურის ჯამაგირიდან და არა ნაკლებ 1 მისხალ პურისა ყოველდღიურად ყოველ მოსამსახურის ულუფიდან. წინადადება მიეცეს ტრამვაის მოსამსახურეების და მუშათა საზოგადო კრებას მიბაძონ მის მაგალითს და მიენდოს ადგილობრივ კომიტეტს შეურყევლად გაატაროს ცხოვრებაში ეს დადგენილება.

19 მარტს მიხეილის საავადმყოფოს საზოგადო კრებამ დამშეულთა დახმარების საკითხის შესახებ დაადგინა: მიღებულ იქნას სასწრაფო ზომები დამშეულთა დასახმარებლად. წინადადება მიეცეს ადგილობრივ კომიტეტს ცხოვრებაში გაატაროს ეს დადგენილება.

19 მარტს შესდგა მუშათა ცენტრალურ კლუბის, კინო-პალასის და 1 ლ საბჭოთა სახლის მოსამსახურექალთა საზოგადო კრება. მოისმინა რა საკითხი დამშეულთა დახმარების შესახებ, ქალთა გაერთიანებულმა კრებამ დაადგინა: ამ საკითხის განხილვა გადავიტანოთ ადგილობრივ კომიტეტში დახმარების ცხოვრებაში გატარების ზომების გამოსამუშავებლად. სასწრაფოდ მოწვეულ იქნას საზოგადო კრება, რომელმაც უნდა დაამტკიცოს ადგილობრივ კომიტეტის მიერ გამომუშავებული დახმარების ფორმები და შეუდგეს მათ განხორციელებას.

რუსეთის კომპარტიის მე-11 ყრილობის გახსნა

მოსკოვი 29 მარტი, რადიო. 27 მარტს კრემლში გაიხსნა რ. კ. პ. მე-11 ყრილობა. ყრილობა გახსნა ამხ. ლენინმა, რომელმაც მიმართა ყრილობის წევრებს მისასალმებელი სიტყვით, პრეზიდიუმის შემადგენლობაში აირჩიეს ამხ. ამხ.: ლენინი, ტროცკი, სტალინი, მოლოტოვი, ტომსკი, პეტროვსკი, ზუბარი, ფრუნზე, სმირნოვი, კომაროვი, ორჯონიკიძე, იაროსლავსკი, ხოდორევსკი, უფიმცევი და ვოროშილოვი. ცეკას მოხსენებით პოლიტიკურ მომენტზე, გამოვიდა ამხ. ლენინი.

გენუას კონფერენცია

გენუა მხოლოდ პირველი შეთანხმებაა.

მოსკოვი. 28 მარტი, (რადიო). გენუაში განზრახული მოლაპარაკება იქნება პირველი შეთანხმება, ნაწილობრივი და პირველი ეტაპი შემდეგი საქმიანობის გზაზე. როგორადაც უნდა დამთავრდეს გენუას კონფერენცია მისი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ბოლოს მოუღებს მოლაპარაკებებს. შეთანხმება ყველაზე უწინ შეიძლება გამოიხატოს რუსეთის მუშურ გლეხურ მთავრობის სრული იურიდიულად აღიარებით, რომელიც საჭიროა არა ფორმისათვის, არამედ პრაქტიკულ საჭიროებათათვის, მათ რიცხვში უცხოეთის კაპიტალისტების საქმიან დამოკიდებულებათა უზრუნველ საყოფად. ეს შეთანხმება ნიშნავს ყველა უთანხმოებათა გადაწყვეტას, შედარებითი გადაწყვეტას მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეთა სადავო საკითხებისა.

ასეთ სადავო საკითხებს ეკუთვნიან უცხოელ სახელმწიფოთა და მოქალაქეთა პრეტენზიები, აგრეთვე ის პრეტენზიები, რომლებსაც ჩვენ უდგენთ რუსეთში ინტერვენციის ინიციატორებს და ხელმძღვანელებს. ამ სადავო საკითხების გადაწყვეტის დროს რუსეთის დელეგაცია ულტიმატუმის წესით მოითხოვს რუსეთის მუშურ გლეხურ ხელისუფლების, მის სუვერენიტეტის, რუსეთის მშრომელთა მასების უფლებების დარღვევის დაუშვებლობას; ამ რიგად გენუაში ჩვენ წინ სდგანან ძლიერ რთული პრობლემები. საეჭვოა რომ ოდესმე ისტორიაში სამშვიდობო დელეგაციის წინაშე ყოფილიყოს ამდენად რთული საკითხები. თუ ეხლა არა, ყოველ შემთხვევაში ეს საკითხები ახლო მომავალში უნდა გადაწყდენ. ეკონომიური საჭიროება ამას მოითხოვს აუცილებლად.

საერთაშორისო უფლება.

ბორდო. 15 მარტი, (რადიო). მოკავშირეთა ექსპერტების თათბირმა ლონდონში დაადგინა აღადგინოს რუსეთთან სწორი სავაჭრო დამოკიდებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა მთავრობა დაამტკიცებს თავის მისწრაფებების გულწრფელობას, რომ იგი დაიცავს საერთაშორისო უფლებების პრინციპებს

ნდობის გამოცხადება ლოიდ-ჯორჯს.

ნაუენი. 28 მარტი, (რადიო). 28 მარტისათვის დანიშნულია ლოიდ-ჯორჯის, ჩემბერლენის და სხვა გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეთა მონაწილეობით თათბირი ლოიდ-ჯორჯის მთავრობისადმი ნდობის გამოცხადების და გენუას კონფერენციის პროგრამის საკითხების შესახებ, ლოიდ-ჯორჯის ნდობის გამოცხადების და გენუას კონფერენციის პროგრამის საკითხი დასმულია თემთა პალატის 8 აპრილის სხდომის დღიურ წესრიგში.

რომი. 28 მარტი. რადიო. „ვესტ მინისტერ გაზეთის“ ცნობით, ლოიდ ჯორჯი ამზადებს დიდ საპროგრამო სიტყვას თემთა პალატაში წარმოსათქმელად. ლოიდ ჯორჯს თავის სიტყვაში განზრახული აქვს აღნიშნოს გენუას კონფერენციაზე პრაქტიკულ შედეგების მიღწევის საჭიროებანი.

რადიო კავშირის გაძლიერება.

რომი. 28 მარტი, რადიო. იტალიის ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი პირადად წავიდა გენუაში რადიო კავშირის, ტელეგრაფის და ფოსტის მდგომარეობასთან გასაცნობათ. მომავალ კონფერენციის გამო გადაწყვეტილია განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ რადიო კავშირის გაძლიერებას.

საერთოდ გენუას კონფერენციის საინფორმაციო ნაწილის ტეხნიკური მხარე საუკეთესოდ იქნება მოწყობილი.

რუსეთის განწყობილება.

ბორდო. 28 მარტი. რადიო. „ნიუ-იორკ-გერალდი“ ახასიათებს რუსეთის განწყობილებას გენუის კონფერენციის წინ, გაზეთი წერს: მოსკოვში ძლიერ ოპტიმისტურად უცქერიან გენუას კონფერენციას—იმ რწმენით, რომ რუსეთისათვის იმდენად მნიშვნელოვანია ევროპასთან სავაჭრო დამოკიდებულების განახლება, რამდენადაც ევროპისათვის რუსეთთან ვაჭრობის განახლება.

პარიზი. 28 მარტი. რადიო. ლენინმა განაცხადა: რუსეთი არ დაუშვებს, რომ მას მოეპყრან, როგორც დამარცხებულ ქვეყანას. პარიზის გაზეთების ცნობით, ლენინს არ აქვს განზრახვა მიიღოს პირადათ მონაწილეობა გენუას კონფერენციაზე.

წინასწარი თათბირი.

რომი. 28 მარტი. რადიო. იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრი შანცერი მივიდა ლონდონში ზოგიერთ საკითხების ლოიდ-ჯორჯთან წინასწარ გამოსარკვევად.

გერმანიის დელეგაცია.

ნაუენი, 27 მარტი რადიო. გერმანიის დელეგაცია, თუ არ მოხდა რაიმე მოულოდნელი დაბრკოლება, გაემგზავრება გენუაში კონფერენციაზე 4 აპრილს.

გენუას წინ.

ბორდო, 27 მარტი რადიო. 4 აპრილს ბერნში შესდგება სკანდინავიის სახელმწიფოთა ექსპერტების თათბირი. ნეიტრალური სახელმწიფოების ოფიციალური დელეგატებიც ალბად შეიკრიბებიან ბერნში 6 აპრილს, ეკონომიურ საკითხებში საერთო პროგრამის გამოსამუშავებლად.

ლოიდ ჯორჯი და გენუა.

ნაუენი, 27 მარტი რადიო. ავტორიტეტული გაზეთების ცნობით ლოიდ ჯორჯი მივა გენუაში 8 აპრილს.

რუს დელეგატების გამგზავრება.

პარიზი, 27 მარტი რადიო. შვეიცარის ფედერატიულმა საბჭომ დაადგინა დააკმაყოფილოს საბჭოთა მთავრობის თხოვნა რუსეთის დელეგატების შვეიცარიის ტერიტორიით გასვლისა კონფერენციაზე გენუაში.

შრომის ბიურო და გენუა.

ბორდო, 27 მარტი რადიო. ლონდონში მივიდა შრომის საერთაშორისო ბიუროს დირექტორი ალბერტ-ტომა, რომელმაც უნდა დაიწყოს მოლაპარაკება ლოიდ ჯორჯთან გენუას კონფერენციაზე ბიუროს მონაწილეობის შესახებ იმ მუშაობაში, რომელშიაც მსჯელობა იქნება შრომის და წარმოების საკითხებზე. „ტან“-ის ცნობით, ტომამ მიიღო წინადადება, გამოყოფილ იქნას შრომის საერთაშორისო ბიუროს შემადგენლობიდან კომისია უმუშევრობასთან უშუალო ბრძოლის ზომების საკითხის გამოსარკვევად.

ფინანსების საკითხი.

პარიზი, 27 მარტი რადიო. კვირას საფინანსო ექსპერტები მსჯელობდნენ ვალიუტის კურსის დამყარების საკითხებზე. ირჩეოდა კითხვა იმ ზომების შესახებ, რომელიც საჭიროა ოქროულობის კურსის დასაცავად ძლიერი ქანაობისაგან. ექსპერტები შეეხნენ აგრეთვე საკითხს რუსეთის ვალების რეგლამენტაციის შესახებ. საკითხის სირთულის გამო გადასწყვიტეს აირჩიონ კომისია რუსეთის ვალების შესახებ.

სანიტარული კონფერენცია.

პარიზი, 27 მარტი რადიო. ხალხთა ლიგის საბჭომ გადასწყვიტა გადასცეს გენუას კონფერენციას ყველა მასალები და დადგენილებანი ვარშავაში შემდგარ საერთაშორისო სანიტარულ კონფერენციისა.

ამერიკა და გენუას კონფერენცია.

ლონდონი, 10 მარტი. ლონდონის პრესას დაწვრილებით მოყავს ამერიკის ნოტის შინაარსი, რომელიც გაგზავნილი იყო იტალიის მთავრობის სახელზე კონფერენციაზე ამერიკის მონაწილეობის შესახებ. ამ ნოტაში, სხვათა შორის აღნიშნულია, რომ ამერიკის მთავრობა რუსეთის წარმოების მრეწველობის საფუძვლის აღდგენის მოლოდინში, რომელიც ნაჩვენები იყო დეკლარაციაში და თავის დროზე გამოქვეყნებულ მთავრობის მიერ, აღნიშნავს, რომ ვერავინ ვერ მიიღებს რუსეთიდან რაიმე ეკონომიური უპირატესობას, სხვა ნაციათა კანონიერ ინტერესების საზიანოდ. რუსეთის ხალხის სიმდიდრის წყაროები დაცულ უნდა იქნას ასეთი ექსპლოატაციისაგან, და საჭიროა დაიცვას ყველასათვის თანაბარი და კანონიერი შესაძლებლობანი, როგორც რუსეთის ხალხის ინტერესებისთვის ისევე სხვა ერებისთვისაც. იმავე დეკლარაციაში ამერიკის მთავრობა აღნიშნავდა: „ამერიკის მთავრობისათვის სავსებით ნათელია, რომ არსებულ პირობებში არ შეიძლება დარწმუნებული იყო ვაჭრობის განვითარებაში, სანამ ძალაში რჩებიან ის მიზეზები, რომელიც პროგრესიულად ზრდის სიღარიბეს. მხოლოდ რუსეთში შრომის ნაყოფიერების აწევაში არის რუსეთის ხალხის გადარჩენა. შრომის ნაყოფიერება კი დამოკიდებულია პირად უშიშროებაზე, ხელშეკრულებების დაურღვევლობაზე და შრომის თავისუფლებაზე“ ამერიკის მთავრობა, აღნიშნულია ნოტიში, ცდილობს გააკეთოს ყველაფერი, რაც კი მისთვის შესაძლებელი იქნება რუსეთის ხალხის საკეთილდღეოდ. ამერიკა დიდის ყურადღებით და მეგობრული განწყობილებით ადევნებს თვალყურს ყოველივე ნაბიჯს, რომელიც კი გადაიდგმება ეკონომიურ პირობების აღდგენის გზაზე, რაც საშუალებას მისცემს რუსეთ ფეხზე დააყენოს თავისი საწარმოო ძალები.

გენუას კონფერენციის გარშემო.

მოსკოვი. 28 მარტი. რადიო. გენუას კონფერენციასთან დაკავშირებით პარიზში გამოაქვეყნეს ოფიციალური ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ, საფრანგეთის მთავრობა, აცხადებს რა თანხმობას დადგენილების ცნ-ბაზე, რომელსაც გამოიტანებენ კონფერენციაზე, თავისთვის სავალდებულოთ, ის მაინც ჩასთვლის ამ გადაწყვეტილებას დროებითად, სანამ რატიფიკაციას არ მოახდენს პარლამენტი.

კაპიტალიზმის სამეფოებში

სოლიდარობის დემონსტრაცია.

ბერლინი. გენუიდან მოსულ ცნობებით, დამშეულთა დასახმარებლად სურსათით დატვირთულ გემის გასვლის დროს, რომელიც შეაგროვეს იტალიის მუშათა ორგანიზაციებმა, მოხდა გრანდიოზული დემონსტრაცია საბჭოთა რუსეთის პატივსაცემად. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღეს ლიგურიის მუშებმა. მუშები ათასობით 150 დროშით გაემგზავრენ ნავთსადგურისაკენ გემის გასვლის წინ. სოციალისტური და კომუნისტური პარტიის, პროფესიონალურ კავშირების, მეზღვაურთა კავშირის და რუსეთის სავაჭრო დელეგაციის წარმომადგენლები რომში კაპიტანის ხიდიდან ამბობდენ სიტყვებს, იტალიის და რუსეთის მუშების სოლიდარობის შესახებ.

ინგლისის მთავრობის მხარის დაჭერა.

რომი. 28 მარტი. რადიო. ჩერჩილი ფართო კრებაზე ნორდ-ხემტონში გამოვიდა გრძელი სიტყვით კოალიციის საჭიროებაზე. ლოიდ ჯორჯის მთავრობის მხარის დაჭერისთვის.

ანტანტის ახალი მოთხოვნილებანი.

ნაუენი. 28 მარტი. რადიო. სამხედრო საკონტროლო საკავშირო კომისიამ მოითხოვა, რომ ყველა გერმანიის სახელმწიფოებს აღიარებიათ 5 აპრილამდი ბულონში და პარიზში დადგენილი პრინციპები, რომლების თანახმად გერმანიის პოლიცია უნდა შემცირდეს უმოკლეს დროს განმავლობაში 1913 წლამდე არსებულ საპოლიციო ორგანიზაციამდე.

ნდობა გერმანიისადმი.

ნაუენი. 28 მარტი. რადიო. გერმანიის ცნობილ პოლიტიკურმა მოღვაწემ დერნბურგმა კელნში განაცხადა: „სესხის მიღების და გერმანიისთვის მორატორიუმის გამოსაცხადების პირობებისთვის საჭიროა მიღწევა მოკავშირეების მხრივ გერმანიისადმი სრული ნდობისა. გერმანიას არა ერთხელ დაუმტკიცებია, რომ ის მზადაა აასრულოს ლოიალურად ყველა თავის თავზე მიღებული ვალდებულებანი, და მგონია რომ ამით მან დაიმსახურა ნდობა“ დემოკრატ-დერნბურგის აზრით საკონტრიბუციო კომისიის წინააღმდეგ ოპოზიციონური პოლიტიკა ფაქტიურად დიდ ზიანს მოუტანს თვით გერმანიას.

კმარა დათმობა.

ბერლინი. 28 მარტი. რადიო. კანცლერ ვირტმა უარყო ანტანტის მოთხოვნილება გერმანიაში საერთო ფინანსიური კანტროლის დამყარების შესახებ. „ფოშისე ცეიტუნგის“ აზრით ეს მოთხოვნილება არღვევს გერმანიის სუვერენიტეტს, და შეუძლია მიყვანა მხოლოდ გერმანიის სახალხო მეურნეობის დანგრევამდე და გერმანიის ფულის ბაზრის გაკოტრებამდე.

ოკუპაციის გაგრძელება.

ნაუენი. 28 მარტი, რადიო. საფრანგეთი ემზადება მოზელის რაიონის საოკუპაციოდ იქიდან ამერიკის ჯარების გაყვანის შემდეგ. „ჩიკაგო ტრიბუნ“-ის ცნობით მოკავშირეებს განზრახული აქვთ სთხოვონ ამერიკას გადასინჯოს ხელახლა თავისი გადაწყვეტილება რეინის ოლქიდან თავისი ჯარების გაყვანის შესახებ.

კლემანსოს წინადადება.

ბორდო. 28 მარტი. რადიო. „ეკო ნაციონალ“ აქვეყნებს კლემანსოს განცხადებას, რომელიც წინადადებას აძლევს ლოიდ ჯორჯს, დაუბრუნოს გერმანიას ზოგიერთი კოლონიები, რომელიც გერმანიას წაართვეს ომის დროს, სამაგიეროდ კი შემცირებულ იქნას მისი ევროპიული სამფლობელო.

სრუტეების თავისუფლება.

პარიზი, 27 მარტი, რადიო. გავასის სააგენტო იუწყება: ახლო აღმოსავლეთის თათბირმა პარიზში გადასწყვიტა დაუტოვონ საბერძნეთს გალიპოლის ნახევარ კუნძული. გადაწყვეტილია უზრუნველყონ სრუტეების თავისუფლება ანატოლიის ნაპირის ნეიტრალიზაციის საშუალებით, მეორე ნაპირი კი რჩება მოკავშირეების ოკუპაციის ქვეშ. საკითხი ფრაკიის საზღვრების შესახებ ჯერ არ გადასინჯულა. ფინანსების საკითხი ოსმალეთის შესახებ მოგვარდა დაახლოებით ოსმალეთის დებულებათა გვარად, მოკავშირეებისთვის ზოგიერთი გარანტიების შენარჩუნებით.

ბორდო 27 მარტი, რადიო. გავასის სააგენტოს ცნობით საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მოითხოვდა ოსმალებისთვის ანატოლიის განაპირა ადგილების სრულ სუვერინეტეტის შენარჩუნებას. ფრაკიის შესახებ ალბად მიღებული იქნება მოსაზღვრე ხაზათ—ენოს მიდიას ხაზი. საკითხი ადრიანოპოლის შესახებ, სჩანს გამოიწვევს დიდ კამათს.

ბერლინი, 27 მარტი, რადიო. ახლო აღმოსავლეთის თათბირი შეუდგა ფრაკიის რაიონების საზღვრების

შესახებ [illegible] მოის
ნეს მოხსენებები მარშალ ფო
ლენერალ [illegible]
მარლეტტის.

რომი 27 მარტი, რადიო. შანც
ახლო-აღმოსავლეთის თათბირზე მ
თხოვდა სრულად და უყოყმან
ოსმალეთისთვის სუვერენულ უფ
ბების დაბრუნებას აღმოსავლეთ ფ
კიის შესახებ. შანცერი მოითხო
აგრეთვე სომხეთის დამოუკიდებლ
ბის ცნობას.

ახლო აღმოსავლეთის თათბირ

პარიზი. 28 მარტი, რადიო. ან
ტის საგარეო საქმეთა მინისტრ
თათბირი ახლო აღმოსავლეთის
კითხზე გათავდა კვირას, საღამ
პარიზის საღამოს პრესა აქვეყნ
წერილის ტექსტს, რომელიც თა
ბირმა გაგზავნა ათინაში, ანგორ
და კონსტანტინოპოლში. ეს წერი
მიძღვნილია ახლო აღმოსავლე
საჩქარო ზავის ჩამოგდების საკით
სადმი.

ბორდო. 28 მარტი, რადიო. ახ
აღმოსავლეთის თათბირი კონს
ტინეპოლში და ანგორაში გაგზავ
ნოტაში აღნიშნავს, რომ მოკავში
თა სახელმწიფოების ჩარევას საბ
ძნეთ-ოსმალეთის კონფლიქტში
კეთილნებითი შუალობის ხასიათი
ემსახურება მხოლოდ ახლო აღმოს
ლეთში ზავის დამყარების მიზ
სევრის ხელშეკრულების გადასინჯ
შეუძლია დაუბრუნოს ოსმალეთს
ვერენიტეტი მთელ რიგ ადგილებ
სმირნა გახდებოდა კვლავ ოსმა
თის, მიუხედავად იმისა, რომ მა
განზრახულია მმართველობის ავტ
ნომიური მუნიციპალიტეტის დამ
რება ქრისტიანების უმცირესობი
თვის უფლებების დასაცავად. ხა
ფატი აღდგებოდა სავსებით. ფრა
ის ნაწილობრივად ევაკუაციას მო
დენდა ბერძნები. ადრიანოპოლ
ღებულობს ავტონომიურ მართვა გ
გეობას სმირნაში დამყარებულ რეჟი
სტრუქტურის მიხედვით. მუსულმა
ბის უმცირესობამ უნდა მიიღოს ყ
ველივე აუცილებელი გარ ნტიე
არხების საკითხის შესახებ ნოტა ა
ნიშნავს წინადადებას შემოღებ
იქნას კანტროლი არხებთან მისავ
ადგილებზე, რათა -წინააღმდეგო
გაეწიოს რაიმე შეიარაღების და
რიგად უზრუნველყოფილი დარ
საერთაშორისო თაოსნობის თავისუ
ლება.

საბერძნეთს უტოვებენ გალიპოლ
ნახევარ კუნძულს. არხებზე ნაოსნო
უნდა ხდებოდეს საერთაშორისო კ
მისიის კანტროლს ქვეშ, რომლ
თავმჯდომარეობა დაევალება ოს
ლეთის წარმომადგენელს. ფინანსებ
სფეროში აღდგენილი იქნება „
ტომან“ და კომისია ბანკთან, რომ
ლიც არსებობდა ომამდე. ამას გა
და დაარსებულ იქნება სპეციალუ
საკავშირო სალიკვიდაციო კომისი

დროებითი ზავისთვის.

ნაუენი, 28 მარტი, რადიო. გავა
სააგენტო იუწყება: საბერძნეთის მთ
ვრობამ მიიღო წინადადება დრო
ბითი ზავის შესახებ. ანგორის მთა
რობამ გადასწყვიტა წარადგინ
თავისი კონტრ-წინადადებანი.

პარიზი, 28 მარტი რადიო. „ტ
ნი“ იუწყება: „ანგორის კომუნისტ
ბის ბელადმა არალოვმა მოსთხო
მუსტაფა ქემალს უარყოს საბერძნე
თან დროებითი ზავის ჩამოგდებ
წინადადება.

ახლო აღმოსავლეთის თათბირის მ
შაობის ჯამი.

ნაუენი, 28 მარტი რადიო. „პ
პარიზიენი“, ეხება რა მოკავში
სახელმწიფოების საგარეო საქ
მინისტრების თათბირის მუშაო
ჯამს ახლო აღმოსავლეთის საკით
შესახებ, წერს: ახლო აღმოსავლეთ
თათბირის ყველა განზრახვები
გადაწყვეტილებანი როდია საბ
ლოო.

ეს გადაწყვეტილებანი მხოლ
ფორმულიროვკაა ანტანტის სურ
ლებისა ახლო აღმოსავლეთის საკი
ხებში. არც ერთი გამოტანილი დ
დგენილება არ აყენებს შეურაცყ
ფას არც საბერძნეთის და არც ოს
ლეთის ნაციონალურ სიამაყეს. მ
კავშირეები სცდილობენ ოსმალეთ
და მისი ძლიერების აღდგენას,
სურთ მიანიჭონ ოსმალეთს შესაძ
ბლობა დამოუკიდებელ ნაციონ
განხორციელებამდე მიღწევისა. სტ
ბული კვლავ გახდება ოსმალეთ
სატახტო ქალაქი. ევროპიულ ოს
ლეთში დამყარდება ოსმალების ნ
ციონალურ თავმოყვარეობისთვის დ
მაკმაყოფილებელი რეჟიმი. ამასთ
ერთად თათბირმა მიიღო მხედველ
ბაში ბერძნებისადმი, მათ მიერ ომ
დროს და მას შემდეგ გალეშ
მსხვერპლისთვის, კომპენსაციის მი
ჭების აუცილებლობა. გაზეთი ა
ნიშნავს შემდეგ საკავშირო თათბ
რის წინადადების და გადაწყვეტ
ლების მეგობრულ კილოს. პარიზ
სხვა გაზეთები აღნიშნავენ, რო
ახლო აღმოსავლეთის თათბირმა გ
ფანტა ყოველივე გაუგებრობა
ფრანგეთს და ინგლისს შორის,
გაუგებრობა, რომელიც შედეგი ი
საფრანგეთის და ანგორის ხელშ
რულებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თესვის კამპანია

(საუბარი თესვის ც. კომიტეტის საგანგებო რწმუნებულ ამხ. ევეცთან)

საერთო მდგომარეობა.

ცნობები მაზრებიდან, რომელიც შემოდის თესვის ც. კომიტეტში ყოველდღე, მოწმობს, რომ საგაზაფხულო თესვის კამპანია ფართოდ ჩაღდება მთელს რესპუბლიკაში.

გაზაფხული არ იცდის—სწრაფად უახლოვდება საქართველოს მინდვრებს: დაბლობ ადგილებში თესვის მუშაობა დაიწყო, მთიან რაიონებში, როგორც, მაგალითად, ახალქალაქის და ახალციხის მაზრებში, სადაც ჯერ კიდევ ძევს თოვლი, დაიწყება ერთი-ორი კვირის შემდეგ.

მიმდინარე თესვის კამპანია გადამწყვეტია. მისი სამეურნეო მნიშვნელობა რესპუბლიკისათვის უდიდესია. თესვის კამპანიის წაგება უმძიმესი შედეგებს მოგვიტანს, მისი მარცხით გათავება გამოიწვევს ძირითად მბრძანებელ მწერვალების დაკარგვას სამეურნეო ფრონტზე და მთავარ პოზიციებისას სიმშილთან ბრძოლის ხაზზე. მათი დასაბრუნებლად დაგვჭირდება კოლოსალური ძალღონის მოკრება, საგანგებო ღონისძიებები, უამრავი ძალის და ენერგიის დახარჯვა. კამპანიის მოგებით კი ჩვენ განვამტკიცებთ და მკვიდრ-საძირკველზე დავამყარებთ რესპუბლიკის მეურნეობას. თესვის კამპანიის პრაქტიკული ჩატარება მაზრებში დაკისრებული აქვს თესვის კომისიებს, რომლებსაც ხელმძღვანელობს თესვის ც. კომისია. თესვის კომისიები 17-ია მთელს რესპუბლიკაში. ყოველ მათგანის სათავეში დგას მაზრის აგრონომი ორ წევრთან ერთად, რომელნიც არიან მაზრის სასურსათო და მიწის კომიტეტების წარმომადგენელნი.

დამყარებულია განუწყვეტელი ორგანიზაციული კავშირი ცენტრსა და ადგილობრივი თესვის კომისიებს შორის. თესვის მუშაობის სასწრაფო ხასიათის და მნიშვნელობის გამო, რომელიც მოითხოვს ყველა ძალების ამოძრავებას თესვის საქმის შესასრულებლად, თესვის კომიტეტების მუშაობაზე ადგილობრივად მოზიდული არიან მიწის კომიტეტები, აღმასკომები და ყველა ადგილობრივი აპარატები.

ამგვარად, მთავარი პოზიციები სამაზრო ცენტრებში განმტკიცებულია. მაგრამ ეს ცოტაა. საჭიროა საშუალებანი, ხოლო უმთავრესად საჭიროა სათესლე მასალა. მისი ნაკლებობა და უქონლობა ფრიად აღონებს მშრომელ გლეხობას, მოუსვენარ განწყობილებას იწვევს მოსახლეობაში, ქმნის გლეხებ შორის ნიადაგს საყვედურებისა და უკმაყოფილებისათვის, ვინაიდან შარშანდელი მოუსავლობით ძირეულად შერყეულია გლეხური მეურნეობა რესპუბლიკაში, ხოლო გლეხების განკარგულებაში ფარულად მყოფი და შენახული სათესლე მასალა, გაღებულ და მათ შორის განაწილებულ სათესლე მასალასთან ერთად, ოდნავადაც არ არის საკმარისი, რათა გამოვიყვანოთ მოსახლეობა სიმშილის მუხრუჭიდან და ჩავაყენოთ ის ნორმალურ სამეურნეო პირობებში.

მდგომარეობამ, რომელშიც მიმდინარეობს თესვის მუშაობა, წამოაყენა მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის და თესვის კომიტეტის წინაშე, რომელიც პირველის აღმასრულებელი და მისი ღონისძიებათა გამტარებელი ორგანოა,—მთელი რიგი უძნელეს ამოცანებისა. გზები მათი შესრულების და გადაჭრისა ფრიად არა ხელსაყრელია ჩვენთვის. და, ვითვალისწინებთ რა მუშაობის სირთულეს და პასუხისმგებლობას, მის სერიოზულობას და სიძნელეს უკვე დაწყებულ თესვის მუშაობისას, რომელსაც აქვს უდიდესი და გადამწყვეტი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა,—საქართველოს მინდვრებს,—თესვის კამპანიის ჩასატარებელ მუშაობას უნდა მივაშველოთ ყველა ძალები, მოვახმაროთ ყველა საშუალებანი.

მიმდინარე წლის იანვრის ჯერ კიდევ 20 რიცხვებში მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის შუამდგომლობით მთავრობამ გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის კომისარიატის საშუალებით შეუკვეთა უცხოეთის ბაზრებზე სათესლე მასალა (ხორბალი და სიმინდი) 280.000 ფუთამდე. 60 ათასი ფუთის დამზადება ნებადართულ იქნა შინაურ ბაზარზე, და სათესლე მასალის დანაკლისის შევსება განზრახული იყო კერძო პირებისა და ჯგუფებისაგან შესყიდვის გზით მათ მიერ გადამალულ სათესლე მასალის საწყობებიდან და მარაგიდან, ამასთან განზრახვა გვქონდა შეგვეძინა თესლი ნაკლებად დაზარალებულ მაზრებში, შარშანდელ მოუსავლობისაგან უფრო დაზარალებულ მაზრებისათვის.

საქმე ის არის, რომ ცალკე პირებს და ჯგუფებს გააჩნიათ ზედმეტი სათესლე მასალა ფარულად, და ისინი ხალისით გაიღებდნენ მას სესხად, თუ მისი დაბრუნება უზრუნველყოფილი იქნებოდა. და მხოლოდ თესლის კონფისკაციის და დაკარგვის შიში აჩერებს ამ პირებს. ფარულ საწყობებიდან თესლის მისაღებად გაჭირვებულ გლეხის მომარაგებისათვის, საჭირო იყო თესლის დაბრუნების უზრუნველყოფა.

ასეთია შექმნილი საერთო მდგომარეობა და განზრახულ უახლოეს პრაქტიკულ ღონისძიებათა ზოგადი სურათი თესვის კამპანიის ფრონტზე.

საგაზაფხულო კამპანიისათვის გამოთხოვილი თესლის რაოდენობა და რაოდენობა, რომლის დაკმაყოფილება განზრახულია.

სიღნაღის მაზრა: 4,000 ფ. ხორბალი, 3,000 ფ. ქერი, 1000 ფ. სიმინდი, სულ 8,000 ფ. სათესლე მასალა. განზრახულია 5,000 ფ. დაკმაყოფილება.

თელავის მაზრა: 24,000 ფ ხორბალი, 8,000 ფ. ქერი, 5,000 ფუთი კართოფილი და 500 ფ. სხვა თესლი—სულ 37,500 ფ. სათესლე მასალა; განზრახულია დაკმაყოფილება—15,000 ფუთისა.

თიანეთის მაზრა: 3,000 ფ. ხორბალი, 2,000 ფ. ქერი, 10,000 ფ. სიმინდი, 2,000 ფ. კართოფილი, სულ 17,000 ფ. სათესლე მასალა; განზრახულია 10,000 ფ. დაკმაყოფილება.

ბორჩალოს მაზრა: 10,000 ფუთი ხორბალი, 15,000 ფ. ქერი, 5,000 ფ. სიმინდი, 15,000 ფუთი კარტოფილი, სულ 45,000 ფ. სათესლე მასალა; განზრახულია დაკმაყოფილება 20,000 ფუთისა.

თბილისის მაზრა: 5,000 ფ. ხორბალი, 10,000 ფ. ქერი, 10,000 ფ. სიმინდი, 5,000 ფ. კართოფილი, სულ 30,000 სათესლე მასალა; განზრახულია 20,000 ფ. დაკმაყოფილება.

დუშეთის მაზრა: 8,000 ფ. ხორბალი, 5,000 ფ. ქერი, 5,000 ფ. სიმინდი, 5,0^0 ფ. კარტოფილი, სხვა თესლი 1000 ფ. სულ 24,000 ფუთი სათესლე მასალა. განზრახულია—20,000 ფ. დაკმაყოფილება.

გორის მაზრა: 10,000 ფ. ხორბალი, 15,000 ფ. ქერი, 5,000 ფ. სიმინდი, 5,000 ფ. კარტოფილი, სხვა თესლი 200 ფ., სულ 30,000 ფ. სათესლე მასალა. განზრახულია 20,000 ფ. დაკმაყოფილება.

ცხინვალის მაზრა: 3,000 ფ. ხორბალი, 3,000 ფ. ქერი, 4,000 ფ. სიმინდი, სულ 10,000 ფ. სათესლე მასალა. განზრახულია 10,000 ფ. დაკმაყოფილება.

ახალქალაქის მაზრა: 5,000 ფუთი ხორბალი, 20,000 ფ. ქერი, 5,000 ფ. კარტოფილი, სულ 30,000 ფ. სათესლე მასალა, განზრახულია 20,000 ფ. დაკმაყოფილება.

ახალციხის მაზრა: 1000 ფ. ხორბალი, 12,000 ფ. ქერი, 1000 ფ. სიმინდი, 17,000 ფ. კარტოფილი, სულ 31,000 ფ. სათესლე მასალა. განზრახულია 31,000 ფ. დაკმაყოფილება.

შორაპნის მაზრა: 2,000 ფ. ხორბალი, 3,000 ფ. ქერი, 10,000 ფუთი სიმინდი, 2,000 ფუთი კარტოფილი, სულ 17,000 ფ. სათესლე მასალა. განზრახულია 15,000 ფუთის დაკმაყოფილება.

რაჭის მაზრა: 2,000 ფ. ხორბალი, 5,000 ფ. ქერი, 10,000 ფ. სიმინდი, 3,000 ფ. კართოფილი, სულ 20,000 სათესლე მასალა. განზრახულია—15,000 ფ. დაკმაყოფილება.

ლეჩხუმის მაზრა: 1000 ფ. ხორბალი, 2,000 ფ. ქერი, 2,000 ფ. სიმინდი, 1200 ფ. კარტოფილი, 920 ფ. სხვა თესლი, სულ 7,420 ფ. სათესლე მასალა. განზრახულია 8,000 ფ. დაკმაყოფილება.

ქუთაისის მაზრა: 15,000 ფ. სიმინდი, 2,000 ფ. კართოფილი, სულ 17,000 ფ. სათესლე მასალა. განზრახულია 15,000 ფ. დაკმაყოფილება.

სენაკის მაზრა: 21,000 ფ. ხორბალი, 5,000 ფ. ქერი, 1000 ფ. სიმინდი, 3,000 ფუთი კართოფილი, სულ 22,000 ფ. სათესლე მასალა. განზრახულია 15,000 ფ. დაკმაყოფილება.

ზუგდიდის მაზრა: 25,000 ფ. სიმინდი, 5,000 ფ. კართოფილი, სულ 30,000 ფ. სათესლე მასალა. განზრახულია 20,000 ფ. დაკმაყოფილება.

ოზურგეთის მაზრა: 3,000 ფუთი ხორბალი, 5,000 ფ. ქერი, 15,000 ფ. სიმინდი, 2,000 ფუთი კართოფილი, სულ 25,000 ფ. სათესლე მასალა. განზრახულია 20,000 ფ. დაკმაყოფილება.

საცდელ დაწესებულებებს, საბჭოთა მეურნეობებს და მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის სასოფლო მეურნეობის განყოფ. კომუნ. მეურნეობებს—2000 ფ. ხორბალი, 1000 ფ ქერი, 1000 ფ. სიმინდი, 1000 ფ. კარტოფილი, სულ 5000 ფ. სათესლე მასალა. განზრახულია 5000 ფ დაკმაყოფილება.

სულ გამოთხოვილი სათესლე მასალა ყველა მაზრებზე უდრის 412,320 ფუთს. 20 მარტისათვის თესვის ც. კომიტეტში შემოვიდა ახალი განცხადებანი კიდევ 60.000 ფ. სათესლე მასალაზე. მოთხოვნის საერთო ციფრმა მიაღწია 472.320 ფ. სხვა და სხვა სათესლე მასალას. ხოლო სათესლე მასალის ციფრი, რომლის გაღება განაწილებულია მოსახლეობის საჭიროებისათვის, უდრის 305,000 ფ. სხვა და სხვა გვარ თესლს სათესლე მასალის ფაქტიური გაცემა, რომელიც მოახდინა თესვის ც. კომიტეტმა ყველა მაზრებზე, უდრის 44.720 ფ, ამას უნდა მიუმატოთ დამატებით გაღებული 6000 ფ., სულ 50.720 ფ.

შეტევა მთელ ხაზზე დაწყებულია.

ამ გვარად პირველი შეტევით მოქმედება მთელ ხაზზე და ყველა რაიონში დაწყებულია. ზემოდ მოყვანილი ციფრები მოწმობენ მდგომარეობის სერიოზულ.

გაერთიანებული საგარეო ვაჭრობის კომისარიატის საშუალებით მიღებული ავსტრალიის ხორბალი გადაგზავნილია ადგილობრივად, სადაც ის გადაცვლილია ადგილობრივ ანეულზე, უმთავრესად ხორბალსა, ქერსა და სიმინდზე, და დაურიგდა მოსახლეობას.

რათა დარიგებული სათესლე მასალა არ იქნეს მოხმარებული სასურსათო და სხვა საჭიროებისათვის, მიღებულია სასტიკი ზომები. ამ მხრივ თესვის კომიტეტების დასახმარებლად მოწოდებულია ყველა აღმასკომები, მიწის სასოფლო კომიტეტები და ყველა დაინტერესებული დაწესებულებანი.

წარმოების სათესლე მასალის ნაწილობრივი დამზადება შინაურ ბაზარზე. დამზადების და შესყიდვის ორგანიზაციაში შედიან მთელი სოფლები და ამ მიზნით შეკავშირებულ გლეხების დიდი ჯგუფები. დამზადება და შესყიდვა სწარმოებს თესვის კომიტეტის უშუალო ხელმძღვანელობით და უახლოესი მონაწილეობით.

ზოგიერთი ცნობებით, სტამბოლში ამერიკიდან მოვიდა გემი სათესლე მასალის მეორე პარტიით, რომელიც შეკვეთილია საზღვარ-გარედ თესვის ც. კომიტეტის საჭიროებისათვის. ამავე ცნობებით, რომელიც ჯერ არ არი დადასტურებული, გემი უახლოეს დღეებში ჩამოვა ბათომში. თუ რაიმე მიზეზებით სათესლე მასალის მეორე პარტია დროით არ იქნება მოზიდული ბათომში, მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატი, თესვის მუშაობის შეჩერების ასაცილებლად, მიიღებს ზომებს აუცილებელი თესლის მისაღებად, სათესლე მასალის ახალი პარტიებისა, ბათომში გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის განკარგულებაში მყოფ ავსტრალიის ხორბლიდან. მდგომარეობის სერიოზულობა და მუშაობის პასუხისმგებლობა—ერთი მხრივ, საშუალებათა სიმცირე და ნაკლებობა, ტრანსპორტის მოუწყობლობა მოსახლეობისათვის სათესლე მასალის მისაწოდებლად და უკვე დამდგარი გაზაფხული—მეორე მხრივ, და მთელი რიგი სხვა გარემოებათა მოითხოვენ სერიოზულ, გადამწყვეტ და მტკიცე ღონისძიებებს, ყველა აპარატების ხელი ხელ ჩაკიდებული მუშაობას—საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარების საქმეში.

მხოლოდ მტკიცედ და სწორად მოწყობილ საგაზაფხულო კამპანიის გატარების დროს შეიძლება მისი მოგება, ხოლო დამარცხებული კამპანია საბოლოოდ და გაუსწორებლად შეარყევს სამეურნეო სისტემის წონასწორობას.

მაგრამ მიუხედავად ამისა, მიუხედავად ცენტროთესვის მიერ წარმოებულ მუშაობის სიდიდისა და პასუხისმგებლობისა, მაზრებში უკვე ჰქონდა ადგილი თესვის კამპანიის გატარების საერთო გეგმის დარღვევას.

სამწუხარო მაგალითი ამ მხრივ მოგვცა სიღნაღის აღმასკომმა. მან თვითონ აიღო ორი ვაგონი ავსტრალიის ხორბალი, რომელიც უნდა შესულიყო თესვის კომიტეტის განკარგულებაში, და ყოველგვარ სისტემის და გეგმის გარეშე ადგილობრივი თესვის კომიტეტის გარეშე, დაურიგა მოსახლეობას.

მსგავს შემთხვევას ჰქონდა აგრეთვე ადგილი დუშეთის მაზრაში წარსულ შემოდგომის კამპანიის დროს. აქ ამ როლში მაშინ გამოვიდა კომ. ახ. კავშირი.

შემოვიდა ცნობები აგრეთვე ახალციხის მაზრიდან უთანხმოების შესახებ თესვის ადგილობრივ კომიტეტსა ერთის მხრივ, და აღმასკომსა და სამაზრო მიწის კომიტეტს შორის, მეორე მხრივ, რა თქმა უნდა, ყველა ეს გადახრა განზე აცილებული იქნება. ასეთი გამოსვლები საერთო გეგმის გარეშე, როგორც პარტიზანული და მავნე, შეუწყნარებელია, და დამნაშავეების წინააღმდეგ ვიღებთ ზომებს. ეს გამოსვლები მით უფრო მავნებელია, რომ გამომდინარეობენ დაწესებულებებისა და პირებისაგან, რომელთაც დაკისრებული აქვთ თანამშრომლობა კომპანიის გატარებაში.

საგაზაფხულო კომპანიის გატარების ამოცანა—არსებულ პირობებში უაღრესად საძნელოა, მძიმე და საპასუხისმგებლო, მაგრამ არის იმედი, რომ მას შევასრულებთ, და თუ მიწადმოქმედების კომისარიატის მიერ განზრახული ღონისძიებანი დროით იქნება ცხოვრებაში გატარებული სისრულით და კეთილსინდისიერად, 1922 წლის თესვის სივრცე უეჭველად გაუთანასწორდება 1920 წლის თესვის მოედანს.

ნათესების მდგომარეობა რაჭისა და შორაპნის მაზრებში.

1921-22 წლის შემოდგომის თესვის კომპანია და ნათესების მდგომარეობა რაჭისა და შორაპნის მაზრებში.

რაჭის მაზრაში შემოდგომის ხორბლეულობა დაითესა გვიან, თესვას უმთავრესად ხელი შეუშალა ხშირმა წვიმებმა, სივრცე ნათესებისა საგრძნობლად შემცირდა, შემცირება გამოიწვია თესლის ნაკლებობამ, რასაც მოწმობს ის რომ დაუთესავი დარჩა მოხნული და დასათესად განმზადებული მიწები. თესლის ხარისხი, რომლითაც დასთესეს მინდვრები, ყოფილა საშუალოზე მდარე (2 ხუთძალიანი სისტემის მიხედვით) და საგრძნობლად ხარჯიანი; მცხოვრებთა უმრავლესობამ 70 პროც. დათესა საკუთარი თესლით, 30 პროც. ნაყიდით. ჯეჯილი მთელს მაზრაში ამოსულა მე-14 დღეს, თოვლის მოსვლამდე ჯეჯილის ზიანი მიაყენა ცუდმა ამინდმა, უმთავრესად წვიმამ, რის გამოც თოვლით დაფარვის წინ ჯეჯილი იყო საშუალო მდგომარეობაში, თებერვლისთვისაც ჯეჯილს საშუალო პირი უჩანდა. **შორაპნის მაზრაში** დაითესა უმთავრესად შემ. პური და ქერი, ჭვავი არ ყოფილა. ნათესების სივრცე უცვლელად დარჩა, სივრცე გადიდდებოდა რომ მცხოვრებლებს თესლი ჰქონოდათ; თესლი იყო საშუალო ხარისხის, მაგრამ ხარჯიანი, მცხოვრებთა ნახევარმა დასთესა საკუთარი თესლით, ნახევარმა ნაყიდით; ჯეჯილი ამოვიდა მე-15 დღეს და თოვლის მოსვლის წინ იყო ცუდ მდგომარეობაში, ცუდი ამინდის, სახელდობრ წვიმების გამო, თებერვალში ჯეჯილს ცუდი პირი უჩანდა.

გეგმა

პროფესიონალური მოძრაობის და პროფესიონალურ ინტერნაციონალის მოწყობისათვის

აპრილის 1-დან ქ. ტფილისში, ბათუმში, სოხუმში, ქუთაისში, ფოთში, ბორჯომში, ტყიბულში და ჭიათურაში დაიწყო პროფესიონალი მოძრაობისა და პროფესიონალი ინტერნაციონალის კვირეული, რომელიც უნდა დასრულდეს აპრილის 7.

კვირეულის ძირითადი მიზანია გაძლიერება პროფესიონალი ორგანოების კავშირისა მასებთან, მათი ჩაბმა აქტიური მონაწილეობისათვის კავშირთა ცხოვრებაში და განმარტება ახალი ამოცანებისა და კავშირთა მნიშვნელობისა.

კვირეულის მოწყობის გეგმა არის შემდეგი:

1. ტფილისში კვირეული დაიწყება პროფესიონალ კავშირთა საბჭოს საზეიმო სხდომით ყველა კავშირთა, საქარხნო და საფაბრიკო კომიტეტებისა, ადგილობრივი კომიტეტებისა, სამეურნეო ორგანოებისა და სხვა ორგანიზაციების გამგეობათა თანადასწრებით.

საზეიმო სხდომის დღიური წესრიგი შემდეგია:

1. კვირეულის ამოცანები.
2. პროფესიონალი კავშირები საrevოლიუციო წლების განმავლობაში და ახალი ამოცანები.
3. საერთაშორისო პროფესიონალი მოძრაობა.

საკონცერტო ნაწილი.

2. ორშაბათიდან ე. ი. აპრილის 3-დან მთელი კვირის განმავლობაში, ერთი საათის წინ სამუშაო დღის გათავებამდე ყველა წარმოებაში უნდა შესდგეს კავშირთა წევრების საერთო კრება.

საერთო კრება შესდგება ქ. თბილისის უმეტესად მსხვილ ყველა წარმოებაში, რომელსაც შეუერთდება ყველა ახლო მდებარე წვრილი წარმოებანი.

საერთო კრების დღიურ წეს-რიგში სდგას შემდეგი საკითხები:

1. კავშირთა ახალი ამოცანები სამუშაოს ყველა დარგში.
2. საერთაშორისო პროფესიონალი მოძრაობა.
3. ამიერ-კავკასიის ყრილობა.

3. ზემოაღნიშნულ პროვინციებში, კვირეული დაიწყება საკავშიროთა შორისო ორგანოს საზეიმო სხდომით კავშირებისა, საქარხნო და საფაბრიკო კომიტეტებისა, სამეურნეო ორგანოების და სხ. გამგეობათა თან დასწრებით.

საზეიმო სხდომის დღიურ წესრიგში სდგას საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსათვის ზემოდ ნაჩვენები ყველა საკითხი.

4. ადგილობრივ აგრეთვე უნდა მოეწყოს საერთო კრებები, შეძლებისამებრ ქალაქის ყველა წარმოებათა ერთად; კრების დღიური წესრიგია:

1. კავშირთა ახალი ამოცანები.
2. საერთაშორისო პროფესიონალი მოძრაობა.
3. ამიერ-კავკასიის ყრილობა.

5. „კვირეულის დაწყების დღისთვის უნდა გამოვიდეს გაზეთ „მუშის“ მორიგი ნომერი, სპეციალურად კვირეულისათვის მიძღვნილი; ხოლო კვირის განმავლობაში გამოყენებულ უნდა იქნეს საბჭოთა პრესა პროფესიონალი მოძრაობის საკითხებისა და მუშათა ყოფა-ცხოვრების ფართო გაშუქებისათვის.

კვირეულის ჩასატარებლად გაწვეულნი არიან და მიწერილნი კავშირებსა და პუნქტებთან—ამხ. კიკნაძე, ოდილავაძე, ჟულელი, ყურულაშვილი, ნუცუბიძე, ვირაპი, კაკაბაძე, ქართველიშვილი, მოჩაიძე, კალანდაძე, ბენედიქტი, პრიდონოვი, ბოგდანოვი, სერგეევი, წივწივაძე ილია, ბურჯანაძე, სერიფიანი, ფეოდოვი, გაუსმანი, ბახუტოვი, მანევიჩი, მარკმანი.

მეტალისტთა კავშირიდან,—ამხ. პრეობრაჟენსკი, სიტნიკოვი; კომუნალური მეურნეობის მუშათა კავშირიდან—ამხ. იტრიევი, კიკნაძე გიგო, ჯაფანასევი; მშენებლთა კავშირიდან—ამხ. ხარაზოვი; მკვებავთა კავშირიდან—ამხ. მელიქსეტოვი, არნაუთოვი; ტრანსპორტის კავშირიდან—ხოჯაევა, ჩისტიაკოვი; მიწისა და ტყის მუშათა კავშირიდან—ფანცხავა; სამედიცინო სასანიტარო შრომის კავშირიდან—ამხ. მამულია, შავერდოვი, ცომაია, ჩიქოვანი; სახალხო კვების კავშირიდან—ამხ. არჩვაძე, ურუშაძე, საბჭოთა მოსამსახურეების კავშირიდან—ამხ. დონაძე, მოვშენზონი; ხელოვნებისა და განათლების მუშაკთა კავშირიდან—ამხ. მოლჩანოვი, ტანდიტი; ქსოვა-კერვის მრეწველობის კავშირიდან—ამხ. მარტიროსოვი, მაქსიმოვი, კახხოევი; მრეწველთა კავშირიდან—ამხ. ალადაძე; ფოსტატელეგრაფის კავშირიდან — ამხ. კარაბანოვი, ხარაბაძე; რკინისგზელთა საუბნო პროფესიონალურ კავშირიდან—ამხ. მაშკევიჩი მოსე, მჟავანაძე, გეიდენი, საბაშვილი; საქ. პროფ. კავშირთა საბჭოს საორგანიზაციო განყოფილებიდან—ამხ. ორიპოვი.

ჩამოთვლილი ამხანაგები იმყოფებიან კვირეულის მომწყობი ცენტრალი სამეულის (პროფ. კავშირის ოთახი № 7) განკარგულებაში და აპრილის 3-დან (ორშაბათიდან) ვალდებულნი არიან, პროფესიონალი დისციპლინის წესით, გამოცხადდენ აღნიშნულ ოთახში ყოველ დღე შუადღის 12 საათზე.

კვირეულის მოწყობა ბათომში ევალება ამხ. პისეცკის; ფოთში ამხ.—ბარამიძეს; სოხუმში ამხ. ვირაპს; ქუთაისში, ტყიბულში და ჭიათურაში ამხ. მიქაძეს; ბორჯომში—მიხაილოვს.

ამხ. ბარამიძე, მიქაძე და მიხაილოვი უნდა გაემგზავრონ არა უგვიანეს მარტის 30-ს.

საქ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს მდივანი—**კიკნაძე**.

პროფ. კავშირთა საბჭოს საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე—**ოდილავაძე**.

ქრონიკა

◆ რევტრიბუნალში. ხუთშაბათს, 30 ამა მარტს, დილის 10 საათზე, უზენაეს რევტრიბუნალის საჯარო სხდომაზე დანიშნულია გასარჩევად ბრალმდებლის და დამცველის დაშვებით საქმე ერვანდ ოვაქიმოვის და ალექსანდრე ფეოხარის შესახებ, რომელთაც ბრალად ედებათ—პირველს მათგანს მასში, რომ 1921 წ. დეკემბრის 7-ს ქ. ტფილისის № 2 გამასწორებელ სახლში დარაჯად ყოფნის დროს მან დასჭრა სასიკვდილოთ პატიმრები შოთაძე და მელიქოვი და მეორეს მასში, რომ იმავე რიცხვში იყო რა აღნიშნულ სახლის პოლიტიკურ კომისრათ თავის მოვალეობის აღსრულების დროს, როდესაც ზემოაღნიშნულ ბოროტ მოქმედების ჩადენის შემდეგ ოვაქიმოვი იქმნა გამოცვლილი საგუშაგოდან და დაპატიმრებულ სადარაჯო რაზმის შენობაში, შევიდა იქ და ლაპარაკის დროს ოვაქიმოვთან მომხდარ ამბის შესახებ, მიაყენა შეურაცყოფა უკანასკნელს მოქმედებით.

◆ ყოფ. პოლიტიკურ კატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოებაში.—გამოვიდა და იყიდება საზოგადოების მიერ გამოცემული კრებული № 1 „კატორღა და გადასახლება“. კრებულში მოთავსებულია მოგონებანი კატორღიდან და ციმბირიდან. კრებული ღირს 30,000 მანეთი.

— მზადდება მასალა მე-2 ნომერ კრებულისთვის. ამხანაგებმა თავიანთი მოგონებანი კატორღიდან და ციმბირიდან და აგრეთვე ყოველგვარი დოკუმენტები, აქტები, სურათები როგორც ციმბირიდან და კატორღიდან, აგრეთვე რევოლიუციონურ წარსულიდან, უნდა გადასცენ კრებულში მოსათავსებლათ სარედაქციო კომისიის თავმჯდომარეს ამხ. რუსაძეს (ქალ. სტატისტიკური განყოფილება, შტაბი ქ. № 2, სართული 3).

◆ საბჭოთა მუშაკების პროფკავშირის კონფერენცია. პარასკევს, 31 მარტს ა. წ. საღამოს 5 საათზე პროფსაბჭოს მცირე დარბაზში დანიშნულია საბჭოთა მუშაკების პროფკავშირის ქალაქის კონფერენცია. ადგილობრივ კომიტეტების წევრები, რომელნიც არ დაესწრებიან ხსენებულ კონფერენციას—იქნებიან მიცემულნი პასუხის გებაში.

◆ ტიციან ტაბიძის პოეზიის საღამო. 6 აპრილს, ხუთშაბათს სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართება ტიციან ტაბიძის პოეზიის საღამო. მოხსენებებს და სიტყვებს წაიკითხავენ: პავლე ინგოროყვა, გრიგოლ რობაქიძე, გერონტი ქიქოძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, ალი არსენიშვილი, ვლადიმერ ელსნერი. კონფერანსიე პოეტების: პაოლო იაშვილი, გრიგოლ რობაქიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, გიორგი ლეონიძე, ნიკოლოზ მიწიშვილი, შალვა კარმელი, რაჟდენ გვეტაძე, გრ. ცეცხლაძე, შალვა აფხაიძე, ტერენტი გრანელი, გ. აგარელი და სხვები. წაკითხული იქნება თარგმნები ტიციან ტაბიძის ლექსების: რუსულად: ვლადიმერ ელსნერი, რიურიკ ივნევი, სერგეი რაფალოვიჩი. ტიციან ტაბიძე წაიკითხავს თავის უკანასკნელ ლექსებს: სიტყვა ორპირის ოქროპირი მალდარორი. დაწვრილებით აფიშებში. მწერალთა კავშირების წევრებისთვის შესვლა უფასოა.

◆ სახალხო განათლების კომისარიატის ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სახელოსნო. ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით სახალხო განათლების ქანდაკების და ხუროთმოძღვრების სახელოსნომ დაიწყო შეკვეთების თავისუფლად მიღება და თავის ნაწარმოებთა გაყიდვა. სახელოსნომ თავის ბინაზე (რუსთაველის პროსპექტი, № 23) გამართა სახელოსნო, რომელშიაც მოთავსებულია ყველა აქამდე დამზადებული ბიუსტები, ორნამენტები, კრონშტეინები, ემბლემები და სხვა... ვიტრინას აქვს ნამდვილი მხატვრული ხასიათი. მის წინ დიდი ხალხი გროვდება, რაც ნიშნავს იმას რომ მას აქვს არა თუ მარტო პრაქტიკულ-კომერციული, არამედ უეჭველია საagitაციო მნიშვნელობაც. მეტადრე კარგადაა შესრულებული საკაბინეტო ბიუსტი ნინოშვილისა და დიდი ბიუსტი-მონუმენტი ტროცკისა.

◆ საქონლის გატანა ტფილისიდან. სასურსათო კომისარიატმა გააუქმა თავისი წინანდელი დადგენილება, რომლითაც აკრძალული იყო საქონლის გატანა ტფილისიდან რესპუბლიკის საზღვრებში. სურსათ-სანოვაგის გატანა კი კვლავ აკრძალულია.

◆ სათესი ბარგის გადატანა სესხად. წინანდელ განკარგულების შესაცვლელად, რკინის გზის სადგურების უფროსებს წინადადება მიეცათ, თესვის კამპანიის დათავებამდე, მიიღონ გადასაგზავნად სესხად სათესი მასალა, რომელიც იგზავნება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატების მიერ თესვის კომიტეტების სახელზე. გამგზავნელებათ აუცილებლად უნდა იყონ მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატები, ხოლო მიმღებად კი თესვის კომიტეტები. („ა. რკ.“).

◆ სამარშრუტო მატარებლები მოსკოვში. მოსკოვში მყოფი საქართველოს მისიის ეკონომიური განყოფილება ატყობინებს რკინის გზის ექსპლოატაციის უფროსს, ინჟინერ ვეიზერს, პირველ სამარშრუტო მატარებლების მშვიდობიან მოსვლაზე მოსკოვში, და საგანგებო წერილში ვეიზერის სახით მადლობას უძღვნის ამიერ-კავკასიის რკინის გზებს, სამარშრუტო მატარებლების მიმოსვლის ორგანიზაციის კარგად დაყენებისთვის, და გამოსთქვამს იმედს, რომ შემდეგში დანარჩენი 35 მარშრუტი ისევე დაუბრკოლებლივ მივლენ თბილისიდან მოსკოვში. („ა. რკ.“).

◆ 17 მარტს, დილის 4 საათზე ცეცხლი გაუჩნდა ალექსანდროპოლის რკინის გზის სახელოსნოებს. ცეცხლის საქრობ საშუალებათა უქონლობის გამო, ცეცხლის გაქრობა ვერ მოხერხდა. დაიწვა მთლად სახელოსნოები და ელექტრონული სადგური. („ა. რკ.“).

რევოლიუციონურ მხატვრული თეატრი.

31 მარტს, რევოლიუციონურ მხატვრულ თეატრში წარმოადგენენ: პირველად თბილისში გრიგოლ რობაქიძის ახალ პიესას „ლონდას“. პიესაში მონაწილეობას მიიღებს ტრუპის ყველა საუკეთესო ძალები და აგრეთვე სტუდია. პიესას დგამ მარგარი-

ტოვი. დახატულია ახალი დეკორაციები.

მსახიობების ჩამოსვლა თბილისში. აპრილის პირველ რიცხვებში ჩამოვა თბილისში მოსკოვიდან მოძრავი მხატვრული ოპერა დ. იუჟინის გამგეობით, 180 კაცის შემადგენლობით, სოლოსი, ხორის, ორკესტრისა და ბალეტის. ოპერა დადგამს საგასტროლო წარმოდგენების რიგს, ვოლგის მხარის დამშეულთა სასარგებლოდ, და შემდეგ გაემგზავრება ბათუმს და კონსტანტინოპოლით სერბიაში, პარიზში და ბერლინში.

დღეს თეატრებში.

სახელმწიფო ოპერა—მშვენიერი ელენე. **რუსთაველის თეატრი**—ქართული წარმოდგენა. **პატარა თეატრი**—პირველად, მემკვიდრე პრინცი, პეტიპას მონაწილეობით. **რევოლ. მხატვრული თეატრი**—„მებაღის ძაღლი“. **საკამერო თეატრი**—ექვიანობა (სომხურ ენაზე). **პროფკავშირთა დარბაზი**—ლიტერატურულ მხატვრული საღამო. **სახალხო სახლი**—ქართული წარმოდგენა. **მუშათა ცენტრალური კლუბი**—ფეიქართა საღამო. **მუშ. ცენ. კლუბის ახალი თეატრი**—კინო.

თეატრი და ხელოვნება

ნინო ნაკაშიძის

„ვინ არის დამნაშავე?“

რეჟისორი ალ. წუწუნავა

სამშაბათს, 28 მარტს რუსთაველის თეატრში უკანასკნელად წარმოადგინეს ნინო ნაკაშიძის: „ვინ არის დამნაშავე“? ფაბულა პიესის მარტივია, მაგრამ იმდენათ სავსე ტრაღიული ტკივილებით, რომ უკანასკნელი მოქმედება „ამერიკის“, ამ საბედისწერო სიტყვის აგონიური ტეხილით და დემონიური სიმძაფრით თავდება. პიესის პირველი სამი მოქმედება სოფლის (გურიის) ინტიმობით არის დარბილებული, მაგრამ მასშივე ისმის ყორანის ფრთების შრიალი მომასწავებელი უბედურების, რომელსაც ანალოგიურათ აჩენს მისნური ალლო დაბრმავებული მოხუცის და მისი შიშიანი გაფრთხილება.

წუწუნავას ქალმა (სალიხე) ტიპიური გურულის ქალის სახე და სისრულე მოგვცა. მისი ფენომენალური ხმის მოქცევა ოჯახის სიყვარულით; როლის არტისტიული დაგეშვით დარბილება; მისი მუსაიფი მეზობელ ქალთან და მატყლის ჩეჩვა, დაჩეჩილის მოხრილ მუხლებში ამოდება; ან, უკანასკნელ მოქმედებაში შვილის ნახვის სიხარულით აცრემლებული, მაგრამ ამავე დროს შეშინებული; ფატის შესხაებ დაბნევა და შემდეგ გამწარებული ხელის შემოკვრა ლოყაზე საშინელი წუწუნით—სანიმუშო ენერგიით განასახიერა.

ვერიკო ანჯაფარიძის (ფატი) ლირიული, მაგრამ დრამის დინამიკით ატორტმანებული ხმა, განსაკუთრებით უკანასკნელ სცენიურობის დროს —როლს სიმაღლეს აძლევდა და აფეტიშებდა სანტიმენტალურ პრობლემის ძირეული და განწირული ატირებით.

შალვა ღამბაშიძე (არსენა) რომელიც მიწიური სიყვარულით და თავშეუკავებელი ვნების მოკვლის წყურვილით სალიხეს ძუძუს ივიწყებს და, უფრო: სიმინდის რჩევის დროს ფატთან მარტო დარჩენისას სიმინდის გოდორთან, სადაც ძალით კოცნის სურვილს ააშკარავებს—უნაკლო იყო. ქონდა გაუმართავი შტრიხები.

უშანგი ჩხეიძე (მოხუცი) საინტერესო ყალბით ანვითარებდა როლს. ქონდა მოხუცის ღვთიური სახე და ხმის დამორჩილება წინაგრძნობისაგან მოღვედილი სიტყვებით.

ქორქოლიანი (ყარამანი) პირდაპირ შედევრი იყო. მისი თამაში ამ როლის გაუკვდავებაა და პოპულიარიზაცია, ამისათვის მას აქვს გასული გურული აზნაურის ტიპიურზე უფრო მეტი, მაგრამ ბუნებრივი ატრიბუტები: „ასი მანეთი“ და გრძელი ყამა.

ქართული დრამის ახალგაზრდა, და შეიძლება ითქვას თამამათ, ძველ არტისტებში, ყველაზე მეტ ყურადღებას იქცევს აკაკი ვასაძე და სამართლიანად. მას უყვარს სცენა და ის ყოველთვის ცდილობს როლი დაიმორჩილოს, ისე, რომ პროცესის სამანს არ გადაცილდეს. მისი უბრალო ხელის გაქნევა, სიარული, პოზა, ღიმილი—არტისტიული საზომითაა მოსაზრებული. ვასაძე (სიკო) კიდევ უფრო მეტ საბუთს იძლევა ამ როლში, პირველ სამ მოქმედებაში თითქოს ვერ პოულობდა გასაქანს (როლის მიზეზით), მაგრამ უკანასკნელ მოქმედებაში მისი ფატთან შეხვედრა, სინანული, ფატის ცრემლებით გულახდილობა, ამ პროცესშივე არეული სიცილი, მაგრამ ბოლოს დინამიური აფეთქება და ცოფი, სადაც ტრაღედია თავის ნამდვილ სახეს იჩენს; რევოლვერის ამოღება და ღობეზე გადახტომა დედის მოსაკლავათ, შემდეგ დედის შეხება ხელით და სიბრაზე, მაგრამ უეცრათ მეზობლების ხმაურით დარბილება, ისევ გადარევა დამხრჩვალი ფატის ნახვით, სისხლის მოწოლა და სახლის დაწვა—ყველაფერი ეს მაღალი მსახიობის ტემპერამენტით და ორგანიული ოსტატობით გაშალა.

დანარჩენი მონაწილენი ანსამბლს დაურღვევ კავშირით ანვითარებდენ. დადგმის მხრივ სჩანს რეჟისორის პოეტური ხელი და სიღრმე. ჰარმონიულ გალიუცინაციებს ქმნიდა ეზოს მორთულება: ბელელი, საწველთან ძველი ხის საწნახელი ტ შიგ კალათები, ნიჩაბი და სხ., რასაც მთვარიან ღამეში ჩიტების ბუნებრივობისაგან განურჩეველი ხმა მიმზიდველს ხდიდა. მხოლოდ ერთი შენიშვნა: ბელელის იქით ყველა მოქმედებაში მოსჩანდა თავნაყარი სიმინდი, რაც დისონანსის ელემენტათ ხდებოდა. აგრეთვე: ნადის გარეთ გამოსვლის შემდეგ, თამაშის დროს ტაში მეტად არეული იყო. ალბათ რეჟისორს ამით სურდა მოეცა სოფლის ბუნებრივი ცეკვის სურათი, მაგრამ ეს არ არის მართალი. სოფელში ტაშის მწყობრი მიმდევნობა ყოველთვის უყვართ და იცავენ მას.

რ. გ.

პროვინციაში

ქ. ზესტაფონი

შორაპნის სამაზრო პარტკომის ხელმძღვანელობით, ქ. ზესტაფონში მოწვეული იყო 18 მარტს (ახალი სტილით) ქ. ზესტაფონის მოქალაქეთა და ზესტაფონის რაიონში არსებულ იაჩეიკების წევრთა კრება პარიზის კომუნის მეორმოცდა თერთმეტე წლის თავის აღსანიშნავად.

ამ დღეს პირველ საათზე რკინის გზის ხიდთან კრება გახსნა შორაპნის სამაზრო კ. კავ. კომიტეტის მდივანმა ამხ. ცინცაძემ წარმოსთქვა შესავალი სიტყვები და გააცნო დამსწრეთ პარიზის კომუნარების მედგარი ბრძოლა, რომელიც გამოიხატებოდა შრომის განთავისუფლებაში კაპიტალიზმის კლანჭებისაგან.

შემდეგ ილაპარაკეს ამხ. გურგენიძემ და ს. წეველმა.

სამწუხაროდ მიტინგის გაგრძელება არ მოხერხდა უამინდობის გამო და თავმჯდომარე მიტინგს დახურულად აცხადებს ორ ნახევარ საათზე.

შორაპნის სამპარტკომის აგიტპროპი.

დუშეთის მაზრის დღევანდელი ცხოვრება

პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ეს მაზრა ძლიერ ჩამორჩენილი არის როგორც კულტურულად, ისე ეკონომიურად, რის წყალობითაც ძლიერ ცოტა მოიპოვება ისეთი მომზადებული ძალები, რომლებიც შესძლებდენ ცხოვრების სათავეში ჩადგომას და ჩქარის ნაბიჯით სწავლა-განათლების წინ წაწევას. ჯერ ისევ მენშევიკების დროსაც არამცთუ პასუხისმგებელნი მოხელენი, არამედ უბრალო მილიციის უფროსიც კი თავის მილიციელებით მოწვეული ჰყავდათ დასავლეთ-საქართველოდან. რაც შეეხება დანარჩენ მასწავლებლებს ან მოხელეებს, ესენი მთლად მოსული ხალხი იყო. თუ ასეთი მდგომარეობა იყო მენშევიკების დროს, რა უნდა იყოს ეხლა, როდესაც ამ მაზრამ მენშევიკებთან ბრძოლაში დაკარგა სამოცამდე. მოწინავე შეგნებული გლეხი, რომელთა შემადგენლობაც შეეწირა საბჭოთა წყობილების დამყარებისათვის ბრძოლას. ასეთი ჩამორჩენილი მაზრის მიერ ამოდენა მსხვერპლის გაღების შემდეგ არ შეიძლებოდა კოჭლობა არ დაეწყოთ, როდესაც კი ეს მაზრა საკუთარ ფეხზე დადგებოდა და ეს ასეც მოხდა დღიდან საბჭოთა წყობილების დაარსებისა. მაზრაში შექმნილი მოთხოვნილება გამოცდილი მომუშავეების, როგორც საბჭოთა დაწესებულებებში ისე პარტიულ ორგანოებში, მარა დღემდინ ვერც ერთში და ვერც მეორეში მაზრამ საკმაო კადრი მომუშავეებისა ვერ იშოვა და უმთავრესი მიზეზი ამისი კი არის ის, რომ ვინც მოსული ხალხი იყო მენშევიკების დროს, ცხოვრების გაძვირების გამო წავიდა-წამოვიდა და ახლებიც ვერ ბედავენ მოსვლას, რადგანაც სიძვირე ამ მაზრაში გაცილებით დიდია, ვიდრე თბილისში ან სხვა მაზრებში. ავად იყო თუ კარგათ 16 თებერვლამდე მაზრის ხელისუფლებას განაგებდა ყოფილი რევკომი, 16 თებერვალში კი არჩეული იქმნა მაზრ. აღმასკომი, რომელიც შეუდგა ცხოვრების მოწესრიგებას. მაზრის აღმასკომის წინაშე ბევრი თავსამტრევი საკითხი სდგას, რომელსაც დაჩქარებით უნდა გაეცეს პასუხი. პირველ რიგში არის საჩქაროთ მთელი მაზრის მუშა-მოსამსახურეთა დაკმაყოფილება, როგორც სურსათ-სანოვაგით, ისე ჯამაგირების მიცემით, რომელიც 2—3 თვე არის არ მიუღიათ. მეორე საკითხი არის თესვის კამპანიის კარგათ ჩატარება, რისთვისაც საჭიროა მთავრობა საჩქაროთ დაგვეხმაროს თესლით, რადგანაც შარშან მოსავალი ძლიერ ცუდი იყო, რის წყალობითაც შემოდგომაზე ბევრი მიწა დარჩა დაუთესავი და თუ ეხლა გაზაფხულის თესვა მაინც კარგად არ ჩავატარეთ, მომავალში მეტი სიმშილი მოელის მაზრას. მაზრაში არსებობს დამთესი კომისია, რომელმაც რამდენიმე ათასი ფუთი სათესლე ხორბალი დაარიგა, მარა ეს წვეთია ზღვაში. მესამე საკითხი, რომელსაც ყველაზედ სერიოზული ხასიათი აქვს, არის სასურსათო გადასახადის აკრეფა. მაზრაში შესდგა ამკრები სამეული. ორგანიზაციული მუშაობა დაათავა და სურსათის აკრეფას შეუდგა. იმედი არის, თუ ცენტრიდან გამოცდილი ტეხნიკური ძალები დაახმარეს, სამეული შესძლებს ერთ თვეში ნახევარი სურსათის აკრეფას მთელ მაზრაში. მეოთხე საკითხი არის ყაჩაღობის მოსპობა მაზრაში. ეს სენი ამ მაზრას დიდი ხანია, რაც ღრღნის, რადგანაც თვით მდებარეობა და სალხის შეუგნებლობა უწყობს ხელს ამის გავრცელებას. მთელ მაზრაში ათი თემი არის, რომელთაგანაც შვიდ თემში სრული სიწყნარეა. რაც შეეხება სამ თემს, ყაზბეგს, ჟინვალის და საგურამოს თემებს, აქ წინადაც და ეხლაც გავრცელებული არის ყაჩაღობა და მდგომარეობა ასეთია: ყაზბეგის თემი მაზრის ცენტრს ძლიერ დაშორებულია, მასთან მოწყვეტილიც, რადგანაც სამხედრო გზა შეკრული არის თოვლით კავკასიონის უღელტეხილზედ, რის წყალობითაც ეს თემი მთელი ზამთარი მოწყვეტილია მაზრას, რაც ხელს უწყობს ყაჩაღობის გავრცელებას: ყაჩაღები სარგებლობენ რა ადგილობრივ ადმინისტრაციის სისუსტით, ახდენენ ყაჩაღობას, ცარცვას, კაცის კვლას და სხვა. ამ თემში ყაჩაღების რიცხვი არ აღემატება 12 კაცს. მათგანი მეტი ნაწილი მოსული არის სხვა და სხვა მხრიდან. ყაზბეგის თემში ყაჩაღობის მოსპობა ძნელი არ არის, თუ ვიდრე თოვლია მოვსპობთ მათ და თუ გაზაფხულამდე დარჩნენ, მერე მათთან ბრძოლა გაძნელდება და სამხედრო გზაც საფრთხეში ჩავარდება. რაც შეეხება ჟინვალის თემს, აქ გავარდნილი ყაჩაღები არ არიან. ამ თემში თუმცა ხდება ცარცვა და კაცის კვლა, მარა მნახველი ყაჩაღების არავინ არის. უფრო შესაძლებელია ეს ქურდები დღე სახლებში მუშაობენ და ღამე კი ყაჩაღობენ.

მესამე თემში, საგურამოსაში ყაჩალთა გუნდი საკმაოთ ძლიერია. ეს ყაჩაღები ამ თემში შარშანაც იყვნენ და შემდეგ კიდევ მიემატნენ. სხვათა შორის, ამ თემში 24 თებერვალს მოკლეს თემის მილიციის უფროსი თავის მილიციელებმა, რომლებიც შეუერთდნენ ყაჩაღებს.

საერთოთ რიცხვი ყაჩაღებისა არ უნდა აღემატებოდეს 8 კაცს, რომლებიც აფარებენ თავს საგურამოს ტყეს.

სხვათა შორის, საჭიროა მოვიხსენიოთ, რომ ამ თემში გადმოდიან თბილისის მაზრის ყაჩაღებიც ს. ავჭალიდან, გრდნიდან და მამკოდიდან, რომლებიც ახდენენ ყაჩაღობას და დაცემას ს. ცხვარისჭამიის საზოგადოებაში. ეს სოფ. მდებარეობს თიანეთის, თბილისის და დუშეთის სამზღვარზედ. თვით სოფელი კი შედის დუშეთის მაზრაში. მთელ მაზრაში რომ სრული სიწყნარე ჩამოვარდეს, საჭირო არის ეხლავე იქნეს მიღებული გადამჭრელი ზომები ყაჩაღების მოსასპობათ, თორემ ზაფხულში მათთან ბრძოლა გაძნელდება და ჩვენ დაგვჭირდება მეტი მსხვერპლის გაღება ყაჩაღების მოსასპობათ. ამ სენის შემდეგ მაზრაში ფართეთ არის მოდებული სამხედრო დეზერტირობა და შეიძლება ითქვას, რომ აქედან ჯარში არ გასულა 70 პროც.. რაც შეეხება კობის, ყაზბეგის თემებს და ლეხურის საზოგადოებას, აქედან არც ერთი არ არის ჯარში გასული. მაზრაში დაარსდა დეზერტირების წინაალმდეგ მებრძოლი სამეული, რომელიც ყოველ ნაირ ზომებს ღებულობს რათა მოისპოს დეზერტირობა. რაც შეეხება კობის და ყაზბეგის თემებს, აქედან მთელი ჯარში გასაწვევი ახალგაზრდობა გადადის ქ. კავკავში, სადაც აფარებენ თავს.

უკანასკნელ საკითხს შეადგენს მაზრაში შიმშილთან გამკლავება, რომელიც თანდათან ძლიერდება საშიშს სახეს ღებულობს, განსაკუთრებით მაზრის ორ თემში, სახელდობრ კობის და საგურამოს თემებში. თუ უბედურების მოსპობაშიც მთავრობა არ დაგვეხმარა, თავისი საკუთარის ძალით გამკლავება ძნელი არის და ვერც შევსძლებთ. ყოველივე ამ საკითხთა შემდეგ საჭირო არის გაკვრით შევეხო საქართ. სამხედრო გზის მდგომიარობას, რომელიც მთელის თავისი სიგძით გაჭიმულია დუშეთის მაზრაზედ. ვისაც უვლია წინათ ამ გზაზედ და უნახია მისი სიმშვენიერე და რომ ნახოს ეხლა და შეადაროს, ბოლმით ცრემლები წამოსცვივა, ისე არის გაფუჭებული. განსაკუთრებით თბილისიდან მცხეთამდე. თუ დროზედ არ იქმნა მიღებული საჩქარო ზომები შესაკეთებლათ, შემდეგ გვიან იქნება. გზა დაიხურება. მცხეთიდან დუშეთამდე გზა კარგი არის, თუმცა ყველა ბოგირი დაწყებული თბილისიდან ვიდრე ყაზბეგამდე. მთლათ ჩამტვრეულია და თუ გზასთან ერთათ არ შეკეთდა ბოგირები, ისე მთელ გზას განადგურება მოელის.

ყველაზედ ძლიერ გაფუჭებულია გზა დუშეთიდან ანანურამდე. უმთავრესი რაც ამ გზისათვის არის საჭირო, ეს არის გუდაურიდან კობამდე შეკრული გზის გაწმენდა თოვლისგან, რადგანაც თუ მთელი მუშათა ძალა რაც კი ამ გზას სჭირდება ანანურ ზემოთ ყაზბეგამდე, არ იქნა თავ მოყრილი ამ თოვლის გასაწმენდათ, ისე მაისამდე გზა ვერ გაიხსნება და ეს შემაერთებელი ძარღვი ჩრდილოეთ კავკასიასთან შეკრული იქნება. ამისვთვის კი საჭიროა კობში და გუდაურში დაჩქარდეს მუშების თავის მოყრა და მათი პურით უზრუნველყოფა. თუ ეს ვერ შესძლო იმ ორგანომ, რომელიც განაგებს ამ გზას ისე ეს გზა მკვდარი იქნება. განსაკუთრებით ამ საქმის საჩქაროთ სისრულეში მოყვანისთვის დაინტერესებული არის დუშეთის მაზრა, რომელიც მოითხოვს ვისგანაც ჯერ არს, რათა ამ გზას მეტი ყურადღებით მოეპყრონ.

აი ასეთი არის მოკლეთ დუშეთის მაზრის ცხოვრება. შეიძლება ყველაფერ საკითხს ვერ შევეხეთ ეხლა, მარა ვეცდებით შემდეგში უფრო დაწვრილებით გავაცნოთ მკითხველს ჩვენი მაზრის ცხოვრება.

გ. ლაფონაშვილი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დებულება

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული იძულებითი სამუშაოს მთავარი სამმართველოს და მისი ადგილობრივი ორგანოებისა. *)

იძულებითი სამუშაოს ბანაკი

16) ბანაკის სათავეში სდგას კომენდანტი, რომელსაც ირჩევს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი და ამტკიცებს იძულებითი სამუშაოს მთავარი სამმართველო. ბანაკის კომენდანტი პასუხისმგებელია წესრიგის დაცვის და ცენტრალური ხელისუფლების მიერ გამოცემულ დადგენილებათა ინსტრუქციების და განკარგულებათა შესრულებაში. ბანაკის ყველა მოსამსახურენი და პატიმარნი ვალდებულნი არიან დაემორჩილონ კომენდანტის განკარგულებას.

შენიშვნა: 1) იძულებითი სამუშაოს მთავარი სამმართველო ნიშნავს კომენდანტს უმეშვეოდ ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტისა იმ შემთხვევაში, თუ მან ვერ სცნო შესაძლოთ დამტკიცება წარმოდგენილი კანდიდატისა, 2) ქ. თბილისში ბანაკის კომენდანტს ნიშნავს თვით მთავარი სამმართველო.

17) ბანაკის კომენდანტი, უმეშვეოდ ემორჩილება რა ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს, ვალდებულია ყოველ თვეში ერთხელ წარმოუდგინოს მას მოხსენება ბანაკის მოქმედების, პატიმართა რაოდენობის, მოძრაობის და გაქცევის შემთხვევის შესახებ (და აგრეთვე ბანაკში მომხდარ ყოველგვარ განსაკუთრებულ მოვლენაზე).

შენიშვნა: ქ. თბილისში ბანაკის კომენდანტი ვალდებულია ყოველ თვეში ორჯერ წარმოუდგინოს მთავარ სამმართველოს მოხსენება ბანაკის მოქმედების, პატიმართა რაოდენობის, მოძრაობის და გაქცევის შესახებ (და აგრეთვე ბანაკში მომხდარ ყოველგვარ განსაკუთრებულ მოვლენაზე).

18) ბანაკის კომენდანტს ეძლევა უფლება, საგანგებო ინსტრუქციით გათვალისწინებული წესისამებრ პატიმართ მიუსაჯოს დისციპლინარული ხასიათის სასჯელი. კომენდანტი ნიშნავს და ითხოვს ბანაკში თანამშრომელთ.

19) ბანაკის კომენდანტის უმეშვეო თანამშრომელნი არიან: ა) ბანაკის მეურნეობის გამგე და ბ) იძულებითი სამუშაოს მმართველი.

20) სამეურნეო ნაწილის გამგის მოვალეობაა: უზრუნველყოფა ბანაკის სურსათით, გასათბობი და გასანათებელი მასალით, ზრუნვა პატიმართა და იმ მოსამსახურეთა ტანისამოსზე, რომლებსაც ასეთი ხაზინიდან ეძლევათ, ზედამხედველობა სადგომების რემონტისა და საერთოდ ბანაკის სამეურნეო ნაწილის გაძღოლა.

21) იძულებითი სამუშაოს მართველის მოვალეობაა: ა) პატიმართა მუშაობის ორგანიზაცია, როგორც ბანაკის ფარგალში, ისე მის გარეშე, ბ) ზედამხედველობა პატიმართა მუშაობისა ბანაკის სახელოსნოებში და იძულებითი სამუშაოს მოსახდელ სხვა ადგილებში, გ) ზედამხედველობა პატიმართა ყოფა ცხოვრებისა, როგორც ბანაკში, ისე მის გარეშე, დ) გარედ სამუშაოზე გასაყვან პატიმართა ჯგუფის შედგენა და მათი თანამძღოლობის წესის შემუშავება, ე) ყოველი პატიმრის ნამუშევარის დროს აღრიცხვა და გამოანგარიშება მათი ხელფასის განსაკუთრებული ტაბელის საშუალებით.

შენიშვნა: ბანაკის სახელოსნოებში მხოლოდ საბჭოთა და საზოგადო დაწესებულებათ შეუძლიათ შეკვეთა სამუშაოსი.

22) ბანაკის საქმის წარმოებ̈ა ევალება კანცელარიას, რომელიც შესდგება საქმის მწარმოებლისა, ხაზინადარ-ბუხჰალტერისა, მწერლებისა (250 პატიმარზე თითო) და მანქანაზე გადამწერლებისაგან (250 პატიმარზე თითო მემანქანე).

23) ადგილობრივი პირობების მიხედვით იძულებითი სამუშაო ბანაკი შეიძლება მოეწყოს, როგორც ქალაქის ფარგალში, ისე ქალაქის ახლო მდებარე მამულში და უნდა იქნეს ნავარაუდევი არა ნაკლებ 150 და არა უმეტეს 1000 პატიმრის მოსათავსებლად.

24) პატიმართა ბანაკში დარაჯობა და მათი ბანაკს გარეშე მხლებლობა ევალება დარაჯთა და მხლებელთა რაზმს, რომლის სამსახური სწარმოებს სამხედრო წესების თანახმად.

შენიშვნა: 1) დარაჯთა და მხლებელთა რაზმის მოვალეობა განისაზღვრება განსაკუთრებული ინსტრუქციით. 2) ქ. თბილისში ცენტრალურ ბანაკთან არსდება ცენტრალური დარაჯთა და მხლებელთა რაზმი, რომელიც საჭიროების და მიხედვით, ასრულებს თავის მოვალეობას მთელი რესპუბლიკის საზღვრებში.

(შემდეგი იქნება)

---

*) იხ. გაზ. „კომუნისტი“ № 69.

სარედაქციო კოლეგია.

ხელის მომწერთა საყურადღებოდ

სახელმწიფო გამომცემლობა აცხადებს გაზეთ „პრავდა გრუზიის“, „კომუნისტის“, „კარმირ ასტღ“-ის და „ახალი აზრის“ ხელის მომწერთა (სახელმწიფო დაწესებულების, პარტიული და მუშათა ორგანიზაციების და კერძო პირთა) საყურადღებოდ, რომ შემდეგში გაზეთებს მიიღებენ ისინი მხოლოდ ხელის მოწერის ფასის გადახდის შემდეგ. იმ დაწესებულებებს და პირთ, რომელთაც გასული თვეებისთვის გადასახადი არ შემოუტანიათ

გაზეთების მიწოდება უსათუოდ შეუწყდებათ.

ხელის მოწერა და ფულის მიღება გასული თვეებისთვის სწარმოებს წინასწარ სახელმწიფო გამომცემლობაში (ლორის-მელიქოვის ქ. № 5).

ამა წლის 30 მარტს, დღით ხუთშაბათს, დილის 11 საათზე

ს. ს. ს. რ. სახალხო სასურსათო კომისარიატის შენობაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ამავე კომისარიატისათვის ხორცის მიწოდების შესახებ. საიჯარო პირობების გაცნობა შესაძლოა ყოველ დღე სახ. სას. კომისარიატის მომარაგების განყოფილების მმართველთან 9—3 საათამდე. ვაჭრობაში მონაწილეობის მიმღებთათვის სავალდებულოა საწინდრის 20.000.000 მანეთი შეტანა სახ. სას. კომისარიატის სალაროში არა უგვიანეს 29 ამა მარტისა.

ს. ს. ს. რ. სახ. სას. კომისარიატი.

სახელმწიფო გამომცემლობისაგან

განცხადება

ცხადდება ყველა პარტიულ გაზეთების „კომუნისტის“, „პრავდა გრუზიის“ და „კარმირ ასტღ“-ის ხელის მომწერთა საყურადღებოდ, რომ პირველ აპრილიდან ხელის მოწერა მიიღება ახალი ფასით.

პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისათვის ხელის მოწერა ადგილზე ქალაქში სახლში მიუტანელად თვეში ეღირება 120.000 მან. შინ მიტანით 140.000 მ. პროვინციაში 150.000 მან.

ყველა სხვა დაწესებულებისა და კერძო პირთათვის ხელის მოწერა ადგილზე შინ მიუტანელად ქალაქში ეღირება თვიურად 180,000 მან. შინ მიტანით 200,000 მ., პროვინციაში 240.000 მან.

ცალკე ნომერი ქალაქში ეღირება 10,000 მ. პროვინციაში კი 12,000 მ.

ხელის მოწერა დროებით მიიღება სახელმწიფო გამომცემლობაში ლორის-მელიქოვის ქ. № 5 ამხ. ზუმბაძესთან.

განცხადება

თფილისის აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოს განყოფილება

ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ ყველა ის მოქალაქეები, რომლებიც უკვე აწარმოებენ ვაჭრობა-მრეწველობას და ამა წლის ხუთ აპრილამდის არ აიღებენ ამის კანონიერ უფლებას, თანახმად ა. წ. 14 იანვრიდან თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის № 1 სავალდებულო დადგენილებისა, **5 აპრილიდან სრულიად კარგავენ ქალაქის ფარგლებში ვაჭრობის უფლებას და მათ სასწრაფო წესით ჩამოერთმევათ მაღაზიები ახალ მოიჯარადრეებზე გადასაცემათ, იქ აღმოჩენილი საქონელი გაიყიდება საჯარო ვაჭრობით ხაზინათ ქირის გასანაღდებლად, ხოლო თვით დამნაშავე ვაჭარ-მრეწველები დაისჯებიან ადმინისტრატიული წესით სამმართველოს განყოფილების გამგის ხელისუფლებით — 6 თვემდე გამასწორებელ სახლში მოთავსებით ან 25 მილიონი მან. დაჯარიმებით.**

თბილ. აღმასკომის სამმართველოს განყოფილება.

სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს
სალითონო განყოფილების
ტეხნიკური კანტორა და მაღაზია
სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ხელსაწყო იარაღებისა.
პლეხანოვის პროსპექტი, 87.

აწვდის ყველას: გუთნებს, კულტივატორებს, გამოსანიავებელ იარაღებს, სიმინდის დასაფშვნელებს, ბარ-ნიჩბებს, ცულდ-ნაჯახებს და სხვა.

მიღებულია ამასთანავე პიკარდ უაიტის სისტემისა და სხვა სათადარიგო საავტომობილო ნაწილების დიდი წყება.

იყიდება ბითუმად და წვრილ-წვრილად. მიიღება საკომისიოდაც.

(5—5)

დაიკარგა

ამა წლის თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში ქალ. თბილისში დროებითი პარტიული მოწმობა № 155 ამხ. ისაკო ნადირაშვილის სახელზედ, მიცემული სიღნაღის სამაზრო გამწმენდ კომისიის მიერ 4 ოქტომბერს 1921 წ., რომელიც გთხოვთ ჩასთვალოთ გაუქმებულად.

(1—1)